



საქართველოს სახალხო დამცველი

**სასჯელის მოხდისაგან
პირობით ვადამდე გათავისუფლებისას
მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა**

თბილისი
2014



ევროკავშირი

გამოცემულია ევროკავშირის ხელშეწყობით.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმულ მოსაზრებებზე სრულად არის პასუხისმგებელი ავტორი და ის არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი	3
1. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკანონმდებლო მექანიზმი	4
2. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოები	6
3. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი	8
4. მსჯავრდებულთა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხის განხილვის საკანონმდებლო და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები	11
ა. მსჯავრდებულთა დახასიათებების არასრულყოფილი ხასიათი	12
ბ. ადგილობრივი საბჭოების მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე საქმეთა განხილვა	14
გ. ა.-ს ძე ე.-ს საქმე	17
გ. საბჭოს გადაწყვეტილებათა დაუსაბუთებლობა	19
დ. საბჭოს წევრის განსხვავებული აზრის დაფიქსირების შესახებ	25
ე. ადგილობრივი საბჭოს წევრის აცილება	25
5. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია ..	27
მსჯავრდებულ ბ. ლ.-ს საქმე	28
6. პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებათა განხილვა საერთო სასამართლოებში	31
ა. სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა როგორც სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი	32
ბ. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა დასაბუთების შესახებ	34
გ. სასამართლო გადაწყვეტილებების შაბლონური ხასიათი	37
დასკვნა	38
რეკომენდაციები	39
დანართი	40
1. ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებები მსჯავრდებულთა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებასთან დაკავშირებით	40
ა. გადაწყვეტილებები, რომლებითაც უარი ეთქვათ მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე	40
მსჯავრდებულ გ. ხ.-ს საქმე	40
მსჯავრდებულ თ. ა.-ს საქმე	42
მსჯავრდებულ ნ. ბ.-ს საქმე	44
ბ. გადაწყვეტილებები მსჯავრდებულთა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ	46
მსჯავრდებულ ა. ა.-ს საქმე	46

მსჯავრდებულ თ. ტ.-ს საქმე	48
მსჯავრდებულ დ. კ.-ს საქმე	50
მსჯავრდებულ კ. გ.-ს საქმე.....	52
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები.....	54
ა. გადაწყვეტილებები, რომლებითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულთა სარჩე- ლები პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ ადგილობრივი საბჭოს გადაწყვე- ტილებაზე.....	54
მოქალაქე მ. ჯ.-ს საქმე.....	54
მოქალაქე კ. ბ.-ს საქმე.....	58
ბ. გადაწყვეტილებები, რომლებითაც არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულთა სარჩელები პირო- ბით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებაზე	60
ი. ნ.-ს საქმე.....	60
მ. მ.-ს საქმე	61
ა.კ.-ს საქმე	63
ე. ა.-ს საქმე	63

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 2013 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე პერიოდში სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დახმარების საკითხთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 60 გადაწყვეტილება და თბილისის საქალაქო სასამართლოს 188 განჩინება (ხარვეზის დადგენის შესახებ) და 20 გადაწყვეტილება¹. საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში ადგილობრივი საბჭოების მიერ მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მაჩვენებლის მნიშვნელოვან ზრდას, თუმცა სახალხო დამცველის სახელზე შემოსულ განცხადებებში გამოვლენილმა ტენდენციებმა წარმოშვა აუცილებლობა შეგვესწავლა მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების, ასევე გათავისუფლებაზე უარის თქმის შემთხვევებში საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის ხარისხი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გარანტირებულია სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტი, რომელიც თითოეულ მსჯავრდებულს აძლევს საშუალებას, გათავისუფლდეს სასჯელისაგან პირობით ვადამდე, კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით დადგენილი წესით.

2013 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში გახშირდა იმ მსჯავრდებულთა მომართვიანობა, რომლებიც ასაჩივრებდნენ მათი სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების² (შემდეგში – საბჭო) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. მსჯავრდებულები, ძირითადად, აპელირებდნენ საბჭოების არაერთგვაროვან და ტენდენციურ მიდგომაზე, მიღებულ ბუნდოვან და დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებსა და ზეპირი მოსმენის გარეშე სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხების განხილვის არაეფექტურობაზე.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების დაახლოებით 60 და თბილისის საქალაქო სასამართლოს 20 გადაწყვეტილებისა და 188 განჩინების შესწავლა/შეფასების შედეგად საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოავლინა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებული ხარვეზები. ამ ხარვეზების გამო მსჯავრდებულთა სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტები არა ერთჯერად, არამედ სისტემურ ხასიათს ატარებს და მათი აღმოფხვრა, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე პრაქტიკაში, გარკვეულ ცვლილებას საჭიროებს.

¹ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ არ ყოფილა შესწავლილი არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს საქმიანობა.

² დღესდღეობით საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

წინამდებარე სპეციალურ ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველი მიმოიხილავს სახელმწიფო სტრუქტურების კანონისმიერ მოვალეობებს, ყურადღებას გამამხვილებს ამ უწყებათა ფუნქციონირების შედეგად დამკვიდრებულ პრაქტიკაზე და წარმოაჩენს მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცესში არსებულ პრობლემებს, გამოკვეთს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში დაფიქსირებულ ხარვეზებს, მიმოიხილავს პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხის განხილვისას სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების შესაძლო დარღვევის და საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა დაუსაბუთებლობის პრობლემას, წარმოადგენს ამ საკითხების სამართლებრივ ანალიზს და გასცემს კონკრეტულ რეკომენდაციებს შესაბამისი უწყებებისათვის.

1. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკანონმდებლო მექანიზმი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, „თუ პირს სასჯელის სახით დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთა, იგი შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, თუ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა. ამასთანავე, იგი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან.“³

ამასთან, დადგენილია ვადები, რაც მსჯავრდებულს ფაქტობრივად უნდა ჰქონდეს მოხდილი სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობის მოსაპოვებლად. ამ დანაწესის თანახმად, „პირობით ვადამდე გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი;

ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ სამი მეოთხედი;

დ) სამი მეოთხედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელიც წინათ პირობით ვადამდე გაათავისუფლეს, ხოლო პირობით ვადამდე გათავისუფლება გაუქმდა ამ მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე.“⁴

³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 72-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი.

⁴ იქვე, 72-ე მუხლი, მე-3 ნაწილი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი⁵ იმპერატიულად ადგენს, რომ მსჯავრდებულის მიერ ფაქტობრივად მოხდილი თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა იყოს ექვს თვეზე ნაკლები.

მსჯავრდებულთათვის, რომლებსაც უვადო თავისუფლების აღკვეთა აქვთ შეფარდებული, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლით დადგენილია სპეციალური წესი, რომლის მიხედვით: „*მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი და თუ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის, მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა.*“

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივმა საბჭომ შეიძლება სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გაათავისუფლოს თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული არასრულწლოვანი, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;

ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.⁶

პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულს შეიძლება დაეკისროს გარკვეული სახის მოვალეობები, რომლებიც მან უნდა შეასრულოს სასჯელის მოუხდელ ნაწილში.⁷ კერძოდ, მსჯავრდებულს შეიძლება დაევალოს, რომ:

- პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი,
- არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება იგი ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში,
- არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი,
- მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს,
- გაიაროს ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენის მკურნალობის კურსი,
- ან სხვა მოვალეობა.⁸

⁵ იქვე, 72-ე მუხლი, მე-4 ნაწილი.

⁶ იქვე, 98-ე მუხლი.

⁷ იქვე, 72-ე მუხლი, მე-2 ნაწილი.

⁸ იქვე, 65-ე მუხლი.

2. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად⁹, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო განიხილავს მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხებს. საბჭოს წევრთა რაოდენობა, საბჭოების რაოდენობა და ტერიტორიული განსჯადობა განისაზღვრება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით. მინისტრი ამტკიცებს საბჭოს დებულებასაც.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოების ტიპური დებულება დღეის მდგომარეობით განსაზღვრული და დამტკიცებულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის N151 ბრძანებით.

ამ ბრძანების მიხედვით, საქართველოში მოქმედებს სამი ადგილობრივი საბჭო:

1. აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო;
2. დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო;
3. არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო.

აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების მიხედვით, საბჭოს მიზანია მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხელშეწყობა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა.

საბჭო თავისი საქმიანობის დროს ემორჩილება დამოუკიდებლობის, კანონიერების, გამჭვირვალებისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს.

ამ დებულებით განისაზღვრება საბჭოს შემადგენლობისა და დაკომპლექტების წესი, საბჭოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, საბჭოს წევრების უფლება-მოვალეობები, საბჭოს უფლებამოსილების ფარგლები, გადაწყვეტილების მიღების პროცედურები და სხვა.

⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის N151 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულება.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს წევრების დამოუკიდებლობის სამართლებრივ გარანტიას ადგენს საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“¹⁰, რომლის მიხედვით, საბჭოს წევრი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას და პატიმრობის კოდექსს.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო შედგება 5 წევრისაგან¹¹. საბჭოს წევრი ინიშნება ან მტკიცდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით, სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის წარდგინების საფუძველზე. საბჭოს წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს სათანადო განათლება და პროფესიული გამოცდილება, აგრეთვე საქმიანი და მორალური თვისებებით შეუძლია შეასრულოს საბჭოს წევრის ფუნქციები. არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი საბჭოს არანაკლებ ერთ წევრს დამატებით უნდა ჰქონდეს არასრულწლოვნებთან მუშაობის სათანადო გამოცდილება ან/და სპეციალური მომზადება პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში¹².

¹⁰ საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, 41-ე მუხლი, მე-4 ნაწილი.

¹¹ მე-3 მუხლი. საბჭოს შემადგენლობა და დაკომპლექტების წესი.

[...]

2. საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

ა) საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) ცენტრალური აპარატის ან სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის 1 წარმომადგენელი;

ბ) სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) 1 წარმომადგენელი;

გ) არასამთავრობო ორგანიზაციის 1 წარმომადგენელი;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 1 წარმომადგენელი;

ე) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 წარმომადგენელი.

[...]

4. [...] არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლის კანდიდატურა მინისტრს დასამტკიცებლად წარედგინება სამინისტროს საკოორდინაციო საბჭოს მიერ.

5. [...] ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის] კანდიდატურა მინისტრს დასამტკიცებლად წარედგინება ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოს მიერ.

6. [...] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს] კანდიდატურა მინისტრს დასამტკიცებლად წარედგინება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ.

¹² საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის N151 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულება, მე-3 მუხლი.

3. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციის მიხედვით¹³, თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილი ვადა, შესაბამისი სასჯელადსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია, საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს დაუყოვნებლივ წარუდგინოს შესაბამისი შუამდგომლობა და ამის შესახებ აცნობოს მსჯავრდებულს. ამასთან, შუამდგომლობას უნდა ერთვოდეს მსჯავრდებულის დახასიათება. აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი არ ართმევს მსჯავრდებულს, მის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს და ახლო ნათესავს ადგილობრივი საბჭოსათვის დამატებითი ინფორმაციის წარდგენის შესაძლებლობას.

საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს მიერ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი განიხილება ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით, ზეპირი მოსმენით ან/და ზეპირი მოსმენის გარეშე¹⁴.

საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება:

- სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ;
- სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან თავისუფლების შეზღუდვით შეცვლის შესახებ.

საბჭო სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის N151 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების მე-12 მუხლით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებით. კერძოდ, საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

¹³ საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის N151 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულება.

¹⁴ საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, 42-ე მუხლი, მე-3 ნაწილი.

- დანაშაულის ხასიათი – ამ კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს – რა გარემოებაში, რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული და ა.შ.;
- მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში (გამოყენებული დისციპლინური, ადმინისტრაციული და წახალისების ღონისძიებები) – ამ კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს, სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის მიმართ რამდენი და რა სახის დისციპლინური, ადმინისტრაციული და წამახალისებელი ღონისძიებები იქნა გამოყენებული, აგრეთვე, კონკრეტულად რა სახის ქმედების გამო იქნა ასეთი გადაწყვეტილება მიღებული;
- მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლეობა – ამ კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს, თუ რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისათვის და რამდენჯერ იყო წარსულში ნასამართლევი მსჯავრდებული;
- ოჯახური პირობები – ამ კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ოჯახის წევრებთან – ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვ.;
- მსჯავრდებულის პიროვნება – ამ კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, მსჯავრდებულის დამოკიდებულებას დაწესებულების ადმინისტრაციასა და სხვა მსჯავრდებულებთან, აგრესიულობას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

ამასთან, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების¹⁵ მიხედვით, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის საქმის განხილვის თავისებურებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება მიექცეს არასრულწლოვნის ცხოვრების, აღზრდის, განვითარების პირობებს, ოჯახურ მდგომარეობას, სხვა გარემოებებს, რაც მისი ხასიათისა და ქცევის თავისებურებათა შეფასების შესაძლებლობებს იძლევა.

¹⁵ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის N151 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულება, მე-18 მუხლი, მე-2 პუნქტი.

სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების მხედველობაში მიღებითა და შეფასებით, საბჭომ უნდა იმსჯელოს, არის თუ არა მიღწეული სასჯელის მიზანი¹⁶ და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, თუ საბჭო მიიჩნევს, რომ სასჯელის მიზანი მიღწეულია;
- საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ, თუ საბჭო მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტის მიზნით მსჯავრდებულისაგან უნდა მიიღოს დამატებითი ინფორმაცია;
- სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ, თუ საბჭო მიიჩნევს, რომ სასჯელის მიზანი მიღწეული არ არის.¹⁷

საბჭოს შეუძლია ჩაატაროს ზეპირი მოსმენა, თუ მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მსჯავრდებულისაგან სჭირდება დამატებითი ინფორმაციის მიღება.¹⁸ ზეპირი მოსმენის ჩატარების შემთხვევაში საბჭო იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ ან შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ.¹⁹

ზეპირი მოსმენის სხდომაზე მონაწილეობის უფლება აქვს დაინტერესებულ მხარეს (მსჯავრდებულს, რომლის საქმეც იხილება, მის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს და იმ დაწესებულების წარმომადგენელს, სადაც მსჯავრდებული სასჯელს იხდის ან იხდიდა), თუმცა მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სხდომის ჩატარებას.²⁰ განსხვავებული ვითარებაა არასრულწლოვანი მსჯავრდებულის საქმის განხილვისას, როცა სხდომაზე დამცველის/კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეო-

¹⁶ იქვე, მე-12 მუხლი, მე-3 პუნქტი.

¹⁷ იქვე, მე-12 მუხლი, მე-3-მე-4 პუნქტები.

¹⁸ საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, 42-ე მუხლი, მე-5 ნაწილი.

¹⁹ საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, 42-ე მუხლი, მე-5 ნაწილი; საქართველოს სასჯელ-აღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის N151 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულება, მე-6 მუხლი, მე-6 პუნქტი.

²⁰ საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, 42-ე მუხლი, მე-5 ნაწილი.; საქართველოს სასჯელ-აღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის N151 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულება, მე-13 მუხლი, მე-2 პუნქტი.

ბა სავალდებულოა.²¹ ტიპური დებულების²² მიხედვით, სხდომაზე ზეპირი მოსმენის დროს საბჭო იხილავს: ზეპირი მოსმენის გარეშე სხდომაზე მსჯავრდებულის მიმართ წაყენებული კრიტერიუმების შეფასებას, სხვა გარემოებებს, რომლებიც შესაძლებელია, მნიშვნელოვანი იყოს გადაწყვეტილების მისაღებად, მოუსმენს მსჯავრდებულსა და სხდომაში მონაწილე პირებს. მიღებული ინფორმაციის საერთო ანალიზის საფუძველზე კი მსჯელობს, მიღწეულია თუ არა სასჯელის მიზანი და იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს საქმის ძირითადი გარემოებები და მსჯავრდებულის რეკვიზიტები. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების²³ მიხედვით, საბჭოს გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

საბჭოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება ადმინისტრაციული წესით ერთჯერადად გასაჩივრდეს სასამართლოში.

4. მსჯავრდებულთა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხის განხილვის საკანონმდებლო და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის სრულყოფილი შესწავლის მიზნით, როგორც მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით, შეისწავლა საბჭოს მიერ მიღებული დაახლოებით 60 გადაწყვეტილება და მოახდინა პრაქტიკისა და საქმეთა განხილვისას გამოკვეთილ პრობლემათა სამართლებრივი ანალიზი.

²¹ საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, 42-ე მუხლი, მე-5 ნაწილი; საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის N151 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულება, მე-13 მუხლი, მე-6 პუნქტი.

²² საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის N151 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულება, მე-17 მუხლი.

²³ იქვე, მე-20 მუხლი, მე-2 პუნქტი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა საქართველოს სასჯელ-აღსრულებისა და პრობაციის საკითხთა სამინისტროდან კონკრეტულ მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე არსებული საქმისწარმოების სრული მასალები. ასევე, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე არსებულ გადაწყვეტილებებსა და საქმისწარმოების მასალებს (დაახლოებით 60 საქმეზე). ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოდან აპარატმა გამოითხოვა ხარვეზის დადგენის შესახებ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებები (სულ 188 განჩინება) და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებები (სულ 20 გადაწყვეტილება), რომლებიც შეეხებოდნენ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებებზე შეტანილ სარჩელებს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა სხვადასხვა ხარვეზი, მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობების განხილვისა და საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების, ამ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და სასამართლოს მიერ აღნიშნულ სარჩელებზე გადაწყვეტილებების მიღების კუთხით. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ეს ხარვეზები არაერთჯერადი ხასიათისაა.

ა. მსჯავრდებულთა დახასიათებების არასრულყოფილი ხასიათი

პრობლემად რჩება სასჯელაღსრულების დაწესებულებების მიერ მომზადებული მსჯავრდებულთა დახასიათებები²⁴, მათი არასრულყოფილი შინაარსის გამო.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულების მიერ მომზადებული მსჯავრდებულთა დახასიათებები (დაახლოებით 50 დახასიათება). მათი ანალიზი ცხადყოფს, რომ დახასიათებები შეიცავს მწირ ინფორმაციას მსჯავრდებულთა პიროვნული მახასიათებლების შესახებ. ხშირ შემთხვევაში, დახასიათებიდან გაურკვეველია, სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ მსჯავრდებულთა დადებითად ხასიათდება თუ უარყოფითად, დაწე-

²⁴ დახასიათება უნდა შეესაბამებოდეს 2011 წლის 10 მაისის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრებისა და პირადი საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ N82 ბრძანებით დამტკიცებულ ფორმას.

სებულების ადმინისტრაციის შეფასებით, მოხდა თუ არა მსჯავრდებულის რესოცი-
ალიზაცია – არის თუ არა მსჯავრდებულის საზოგადოებისგან შემდგომი იზოლირება
აუცილებელი ან/და არის თუ არა იგი საშიში გარშემომყოფებისათვის და სხვა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში წარმოდ-
გენილი მსჯავრდებულთა დახასიათებები, ძირითადად, შეიცავს მსჯავრდებულთა
დემოგრაფიულ მონაცემებს, მსჯავრდების საფუძველს – მითითებულია დანაშაული
და შეფარდებული სასჯელის სახე და ზომა, მითითებულია დანაშაულის ხასიათზე,
კერძოდ, აღწერილია ფაქტი, რომელშიც გამოიხატა მსჯავრდებულის დანაშაულებ-
რივი ქმედება. ძირითად შემთხვევებში მითითებულია, რომ მსჯავრდებული დაწესე-
ბულებაში მიყვანისთანავე გაეცნო დაწესებულების შინაგანაწესსა და სარეჟიმო
მოთხოვნების დაცვის აუცილებლობას. დახასიათებებში მცირე ნაწილი ეთმობა იმ
ფაქტორებს, რომლებიც, როგორც წესი, აუცილებელია პირის რესოციალიზაციის
შეფასებისათვის. მითითებულია მსჯავრდებულის მხრიდან ოჯახის წევრებთან
ურთიერთობის სიხშირეზე, ასევე იმაზე, იყო თუ არა მსჯავრდებული დასჯილი ან
წახალისებული სასჯელის მოხდის პერიოდში. დახასიათებათა აბსოლუტური
უმრავლესობა იდენტურია და მათი შინაარსიდან გაურკვეველია, რა პიროვნული
მახასიათებლებით შეიძლება განვასხვაოთ მსჯავრდებულები ერთმანეთისაგან. ხში-
რად, დახასიათებაში არ არის აღნიშნული, ოჯახის წევრებთან ურთიერთობამ გამო-
იღო თუ არა რაიმე შედეგი; აქვს თუ არა მსჯავრდებულს ფსიქოლოგთან ან/და
სოციალური სამსახურის თანამშრომლებთან სისტემატიური ურთიერთობა და ეს
ყველაფერი აისახა თუ არა მის რესოციალიზაციაზე.

ამ მონაცემების ფონზე სასჯელადსრულების დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი
დახასიათებები სტატისტიკური მონაცემების ანგარიშს უფრო ჰგავს, ვიდრე მსჯავრ-
დებულის პიროვნული მახასიათებლებისა თუ ქცევის განსაზღვრისთვის საჭირო
ინფორმაციის შემცველ დოკუმენტს.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მსჯავრდებულთა დახასიათებებს სასჯელადსრუ-
ლების დაწესებულებები წარუდგენენ ადგილობრივ საბჭოებს, რაც მსჯავრდებულთა
პიროვნული მახასიათებლების შეფასების ეტაპზე არსებითი მნიშვნელობისაა.
მსჯავრდებულთა დახასიათებების შინაარსი და მათი სრულყოფილად შედგენა გან-
საკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როცა მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდი-
საგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ საქმეების აბსოლუტურ უმრავ-
ლესობას საბჭოები ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავენ. სწორედ ეს დოკუმენტი
უნდა იძლეოდეს იმის შეფასების საშუალებას, თუ როგორია მსჯავრდებულის ქცევა
სასჯელის მოხდის პერიოდში, როგორია მისი ურთიერთობები გარშემომყოფებთან
და რა არის მისი ძირითადი პიროვნული მახასიათებლები, ასევე, მიაღწია თუ არა
სასჯელმა თავის ერთ-ერთ მიზანს, ანუ მოხდა თუ არა მსჯავრდებულის რესოცი-
ალიზაცია. ამ ფაქტორებს შეუძლია შეუქმნას შინაგანი რწმენა საბჭოს წევრებს და

გავლენა მოახდინოს მათ გადაწყვეტილებაზე. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად ინფორმაციულია სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ მომზადებული მსჯავრდებულის დახასიათება.

ბ. ადგილობრივი საბჭოების მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე საქმეთა განხილვა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საბჭოს მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები²⁵.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების²⁶ თანახმად, საბჭოს საქმიანობა ეფუძნება გამჭვირვალების პრინციპს. თუმცა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ ეს პრინციპი, განსაკუთრებით ზეპირი მოსმენის გარეშე საკითხის განხილვის შემთხვევაში, უგულებელყოფილია, ან/და მისი შესრულება არსებითად კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის შემთხვევაში, მსჯავრდებულისათვის გაუგებარი და რთულად აღსაქმელი ხდება, თუ რა გარემოებებსა და დეტალებზე გაამახვილეს ყურადღება საბჭოს წევრებმა მისი საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების მიხედვით, საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში სრულად არის გადმოტანილი სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მსჯავრდებულის დახასიათება და მითითებულია, რომ საბჭომ შეაფასა დახასიათებაში აღნიშნული გარემოებები, ასევე სხვა გარემოებები და მივიდა დასკვნამდე, რომ ამ ეტაპზე მიზანშეუწონელია მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ ყველა საქმეში, სადაც საბჭოს გადაწყვეტილებაში მსგავსი ფორმულირებაა მოცემული, ფიგურირებს სამი დოკუმენტი – სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ მომზადებული

²⁵ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული მსჯავრდებულთა საჩივრები შეეხებოდა მხოლოდ ზეპირი მოსმენის გარეშე განხილულ საქმეებს, შესაბამისად, საბჭოს მიერ ზეპირი მოსმენით განხილული საქმეები შესწავლილი არ ყოფილა.

²⁶ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულება, მე-2 მუხლი.

მსჯავრდებულის დახასიათება, ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარებული საბჭოს სხდომის ოქმი და საბჭოს გადაწყვეტილება. სამივე ეს დოკუმენტი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში ინფორმაციულად იდენტურია. შესაბამისად, გაუგებარი რჩება, რომელი „სხვა გარემოებების“ შესწავლასა და შეფასებაზეა საუბარი საბჭოს გადაწყვეტილებაში, მაშინ როცა დამატებითი ინფორმაცია მოცემული არ არის არც ოქმში, არც სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დახასიათებაში, სხდომა კი ზეპირი მოსმენის გარეშეა ჩატარებული, რაც გამორიცხავს დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას საბჭოს წევრებისათვის.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ მსჯავრდებულთა – **გ.გ.-ს ძე მ.-სა და რ.ჯ.-ს** – საქმეებში, ადგილობრივი საბჭოების მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარებული სხდომის ოქმსა და პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ საბჭოს შესაბამის გადაწყვეტილებებში ვკითხულობთ: „საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე იმსჯელა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების მე-12 მუხლით დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით და ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის ძალადობრივი ხასიათის დანაშაული, სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა, მსჯავრდებულის ქცევამ სასჯელის მოხდის პერიოდში დაიმსახურა დისციპლინური ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა ადმინისტრაციის მხრიდან, ასევე არსებობს სხვა გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მისაღებად.“²⁷

ვინაიდან საბჭოს ორივე გადაწყვეტილებაში მითითებული იყო „სხვა გარემოებებზე“, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია ამ კონკრეტულ მსჯავრდებულებთან მიმართებით, კერძოდ, ის, თუ რას გულისხმობდა საბჭო სხვა გარემოებებზე მითითებისას.

ორივე შემთხვევასთან მიმართებით, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წერილი იდენტურია: საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას იხელმძღვანელა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და

²⁷ მსჯავრდებულ **რ. ჯ.-ს** მიმართ საბჭოს გადაწყვეტილების ფორმულირება საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით მცირედ განსხვავებულია: „საბჭომ იხელმძღვანელა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების მე-12 მუხლით დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით და ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ჩადენილია *მძიმე კატეგორიის* ძალადობრივი ხასიათის დანაშაული, მსჯავრდებულის ქცევამ სასჯელის მოხდის პერიოდში დაიმსახურა დისციპლინური ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა ადმინისტრაციის მხრიდან, ასევე სხვა გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მისაღებად.“

ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების მე-12 მუხლით დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით და გადაწყვეტილების მიღებისას ყურადღება გაამახვილა დანაშაულის ხასიათზე, კერძოდ იმ გარემოებაზე, რომ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის ძალადობრივი ხასიათის დანაშაული, დანაშაულთა ერთობლიობა, აგრეთვე, იმ ფაქტზე, რომ მსჯავრდებულის ქცევამ სასჯელის მოხდის პერიოდში განაპირობა დისციპლინური ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭომ კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსების გათვალისწინებით გადაწყვიტა, რომ ამ ეტაპზე არ არის მიღწეული სასჯელის მიზანი, რის გამოც გ. მ.-ს (რ. ჯ.-ს) პირობით ვადამდე გათავისუფლება მიზანშეუწონლად მიიჩნია.²⁸

ამრიგად, ნათელია, რომ, მიუხედავად საბჭოს მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარებულ სხდომის ოქმებსა და გადაწყვეტილებებში დამატებით სხვა გარემოებებზე მითითებისა, რომლებიც თითქოსდა მნიშვნელოვანი იყო გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც წესი, მსგავსი დამატებითი გარემოებები არ არსებობს. ბუნებრივია, ამგვარი ფორმულირებები გაუგებარს და ბუნდოვანს ხდის მსჯავრდებულთათვის საბჭოს მუშაობის პრინციპსა და შედეგებს, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა გადაწყვეტილების მიღება ზეპირი მოსმენის გარეშე ხდება.

საკამათო არ არის, რომ, როდესაც საბჭო ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს, მას ევალება, გულისხმიერად შეისწავლოს მის ხელთ არსებული მასალები – სასჯელადსრულების შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაციის შუამდგომლობა, მსჯავრდებულის დახასიათება – და გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება, მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ან გათავისუფლებაზე უარის თქმის თაობაზე.

პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის 24 სექტემბრის რეკომენდაციით, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ ყურადღება უნდა გაამახვილოს ყველა ელემენტზე, მათ შორის პატიმრის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე²⁹, თუმცა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში საპირისპირო გამოიკვეთა. საილუსტრაციოდ წარმოგიდგინთ მსჯავრდებულ გ. ა.-ს ძე ქ.-ს საქმეს, რომელშიც ცალსახად ფიქსირდება საბჭოს მიერ საკითხის არაჯეროვნად და არასრულყოფილად შესწავლა.

²⁸ 2013 წლის 26 ივნისის საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს N67651/01 წერილი; 2013 წლის 26 ივნისის საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს N67650/01 წერილი.

²⁹ იხ. მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის 24 სექტემბრის რეკომენდაცია Rec(2003)22 პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ, პარა. 32(ბ).

გ. ა.-ს ძე ქ.-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ერთ-ერთ დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულმა გ. ა.-ს ძე ქ.-მ და აღნიშნა, რომ მისი პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი უკანონოდ არ დააკმაყოფილა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივმა საბჭომ.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები პირადად გაესაუბრნენ მსჯავრდებულს, რა დროსაც მან განმარტა, რომ ადგილობრივმა საბჭომ მის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის მიზეზად მიუთითა დისციპლინური ღონისძიების სახით სამართლო საკანში მოთავსების ფაქტი. მსჯავრდებულის მტკიცებით, დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა არა მას, არამედ სხვა მსჯავრდებულს – გ. თ.-ს ძე ქ.-ს. მსჯავრდებულმა ამის დასადასტურებლად წარმოადგინა თავის საქმეში არსებული დისციპლინური სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც შედგენილია 1984 წელს დაბადებული მსჯავრდებულის – გ. თ.-ს ძე ქ.-ს – მიმართ, განმცხადებელი კი არის 1987 წელს დაბადებული გ. ა.-ს ძე ქ.

წინამდებარე საკითხის სრულყოფილი შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს და გამოითხოვა ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული საქმისწარმოების მასალების სრული ასლები.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან მიღებული წერილიდან ირკვევა, რომ ადგილობრივმა საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ა.-ს ძე ქ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი. საბჭომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის დადებითი დახასიათება. კერძოდ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შესაბამისი დაწესებულების სოციალური მუშაკის მიერ გაცემული დახასიათების თანახმად, მსჯავრდებულ გ. ა.-ს ძე ქ.-ს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაკისრებია. თუმცა ყურადღება გაამახვილა, რომ მის მიერ ჩადენილი იყო მძიმე კატეგორიის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული, დანაშაული, როგორც მომეტებული საფრთხის შემცველი საზოგადოებისათვის და მისი პირობით ვადამდე გათავისუფლება მიზანშეუწონლად მიიჩნია.³⁰

მიუხედავად 2013 წლის 16 ივლისის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს

³⁰ 2013 წლის 16 ივლისის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს N73458/01 წერილი.

ადგილობრივი საბჭოს N73458/01 წერილში აღნიშნული გარემოებებისა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილ ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებული გ. ა.-ს ძე ქ., დაბადებული 1987 წელს, მსჯავრდებული სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით, 2011 წლის განკარგულებით მოთავსებულ იქნა სამართლო საკანში 20 დღე-ღამით. გადაწყვეტილების მიხედვით, გაითვალისწინა რა სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის მიერ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების ფაქტი, ასევე, მის მიერ მძიმე კატეგორიის ძალადობრივი დანაშაულის ჩადენა, საბჭომ არ დააკმაყოფილა მსჯავრდებულის შუამდგომლობა მისი პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ასევე ნათელი ხდება, რომ სასჯელაღსრულების ერთ-ერთი დაწესებულების დირექტორის 2011 წლის განკარგულებით, დისციპლინური ღონისძიება – სამართლო საკანში მოთავსება 20 დღე-ღამის ვადით – გამოყენებულ იქნა სხვა მსჯავრდებულის, 1984 წელს დაბადებული გ. თ.-ს ძე ქ.-ს, მიმართ. ზემოაღნიშნული მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივმა საბჭომ გ. ა.-ს ძე ქ.-ს მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას ერთ-ერთ ფაქტორად გაითვალისწინა მსჯავრდებულისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ფაქტი, რომელიც რეალურად ამ მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული არ ყოფილა.

გ. ა.-ს ძე ქ.-ს შემთხვევა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თითოეული მსჯავრდებულის საქმის სრულყოფილი და ჯეროვანი შესწავლა, მათ შორის, სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების დეტალური გაცნობა, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ამასთან, თითოეული შემთხვევის ზეპირი მოსმენით განხილვა, ფაქტობრივად, გამორიცხავს მსგავსი შეცდომის დაშვების შესაძლებლობას.

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას აუცილებელია, საბჭომ მიიღოს მაქსიმალურად სრული ინფორმაცია მსჯავრდებულის პიროვნების შესახებ. კერძოდ, რა გავლენა მოახდინა მსჯავრდებულზე მის მიერ რეალურად მოხდილმა სასჯელმა, მოხდა თუ არა მსჯავრდებულის რესოციალიზაცია და არის თუ არა აუცილებელი საზოგადოებისაგან მსჯავრდებულის შემდგომი იზოლაცია. ამასთან, მნიშვნელოვანია, საბჭომ მიიღოს ობიექტური ინფორმაცია მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლების შესახებ, მის რესოციალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, განსაკუთრებით, წლების განმავლობაში, საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის – მსჯავრდებულთა მიმართ წამების, არასათანადო მოპყრობისა და დასჯის ფაქტების გათვალისწინებით; მეორე მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს, სრულყოფილად იყოს მსჯავრდებული ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა გარემოებები განიხილა და შეაფასა საბჭომ მის საქმეში და რა გახდა მის მიმართ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. არსებითი მნიშვნელობა აქვს, მსჯავრდებული დარწმუნდეს

მისი სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის მიმართ ადმინისტრაციული ორგანოს (ამ შემთხვევაში, ადგილობრივი საბჭოს) გულისხმიერ დამოკიდებულებაში.

ამ მიზნების მიღწევა მარტივდება საბჭოს მიერ საქმის ზეპირი განხილვის შემთხვევაში, რაც შესაძლებლობას მისცემს მსჯავრდებულს, საბჭოს წევრების ყურადღება მიაპყროს იმ გარემოებებზე, რომლებიც, მისი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პიროვნების შეფასებისათვის და რამაც შესაძლოა, არსებითი გავლენა მოახდინოს საბჭოს წევრების გადაწყვეტილებაზე.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის 24 სექტემბრის რეკომენდაცია, რომელიც პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხის განხილვისას მსჯავრდებულის ერთ-ერთ პროცედურულ გარანტიად გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს წინაშე მის პირადად წარდგენას გულისხმობს³¹.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ამჟამად მოქმედი საკანონმდებლო ჩანაწერი მსჯავრდებულს, მის წარმომადგენელს ან ოჯახის წევრს არ ართმევს უფლებას, წერილობით წარუდგინონ მოსაზრება საბჭოს მსჯავრდებულის პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით, თუმცა პრაქტიკაში ეს უფლება არ არის რეალიზებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ზეპირი მოსმენის გარეშე განხილულ საქმეებში საბჭოსთვის უცნობი რჩება მსჯავრდებულის პოზიცია, მათ შორის, მის პირად საქმეში არსებულ ჩანაწერებსა თუ დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილ დახასიათებასთან დაკავშირებით. ამასთან, წერილობითი მოსაზრების დაფიქსირების უფლება ვერ ჩაანაცვლებს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს წინაშე პირის პირადად წარდგენის მნიშვნელობას.

გ. საბჭოს გადაწყვეტილებათა დაუსაბუთებლობა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ საქმეების შესწავლისას ძირეულ პრობლემად გამოიკვეთა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა. არაერთი გადაწყვეტილების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებებს აქვთ შაბლონური ხასიათი და მათი გაცნობის შედეგად არ იკვეთება,

³¹ იხ. მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის 24 სექტემბრის რეკომენდაცია Rec(2003)22 პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ, პარა. 32(ა).

კონკრეტულ მსჯავრდებულთან მიმართებით, რა გახდა საბჭოსათვის ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოა „ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.“³² ამრიგად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, საქართველოს კანონ „პატიმრობის კოდექსის“, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის N151 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. კერძოდ, საბჭო კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის³³ თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტად ჩაითვლება, აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

შესაბამისად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილება, მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ან გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი³⁴. ამდენად, საბჭოს გადა-

³² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მე-2 მუხლი, 1-ლი ნაწილი, „ა“ ქვეპუნქტი.

³³ იქვე, „დ“ ქვეპუნქტი.

³⁴ იქვე.

წყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებს, პატიმრობის კოდექსსა და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიხედვით, მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის³⁵ თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის

„უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.“

ამავე კოდექსის³⁶ მიხედვით, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნის მისაღწევად, რისთვისაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.

ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება – ესაა ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივად შებოჭილი თავისუფლება; ეს ისეთი უფლებამოსილებაა, რომელიც, ერთი მხრივ, კანონმდებლობით არ არის შეზღუდული კონკრეტული მოწესრიგებით, თუმცა, მეორე მხრივ, შეზღუდულია კანონით დადგენილი ნორმების მიზნითა და ფარგლებით.

აღსანიშნავია, რომ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის³⁷ მიზანი არის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. საქართველოში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება ხორციელდება კანონიერების, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპებზე დაყრდნო-

³⁵ იქვე, „ლ“ ქვეპუნქტი.

³⁶ იქვე, მე-6 მუხლი.

³⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“.

ბით.³⁸ საბჭოს მიზანი კი მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხელშეწყობა და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვაა.³⁹

როგორც აღინიშნა, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოსათვის გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება შეზღუდულია საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირებით. ადგილობრივი საბჭოს მხრიდან გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელი ამგვარი ინტერესი კი მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხელშეწყობა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაა.

კანონმდებელი პატიმრობის კოდექსის საფუძველზე მოითხოვს, რომ შუამდგომლობის განხილვისას საბჭომ გაითვალისწინოს მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში, მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, მსჯავრდებულის პიროვნება, ოჯახური მდგომარეობა, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, მიღწეულია თუ არა სასჯელის მიზანი და სხვა გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბჭოს გადაწყვეტილებაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით⁴⁰ დადგენილია, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ეს დანაწესი აუცილებლად გულისხმობს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების სავალდებულოობას, ვინაიდან მხოლოდ ამით არის შესაძლებელი, გაირკვეს, მიღებულ იქნა თუ არა კანონისმიერი გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია, რომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის⁴¹ თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემისას. ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს, გაითვალისწინოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების წესები. მან მხედველობაში უნდა მიიღოს მისი პროპორციულობა და თანაზომიერება. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება ავალდებულებს

³⁸ საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, 1-ლი მუხლი, მე-2 ნაწილი.

³⁹ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის N151 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულება, 1-ლი მუხლი, მე-2 პუნქტი.

⁴⁰ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მე-7 მუხლი, მე-2 ნაწილი.

⁴¹ იქვე, 53-ე მუხლი, მე-4 ნაწილი.

ადმინისტრაციულ ორგანოს, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებები არ არის დასაბუთებული. მითითება ხდება კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებზე მშრალად და, როგორც წესი, არ არის არგუმენტირებული, თუ რამ ჩამოუყალიბა საბჭოს შინაგანი რწმენა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას. ეს კიდევ უფრო ბუნდოვანია იმის გათვალისწინებით, რომ საქმეების დიდ უმრავლესობაში წარმოდგენილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული მსჯავრდებულის დადებითი დახასიათების მიუხედავად, საბჭო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ჩადენილი დანაშაულის ხასიათს და უარს აცხადებს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდება არის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მსჯავრდებულის ძირითადი უარყოფითი მახასიათებელი. ბუნებრივია, მხოლოდ ამ საფუძველით მიღებული გადაწყვეტილება პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებულად ვერ ჩაითვლება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებელი კანონით დადგენილი რეალური სასჯელის მოხდის შემდეგ ყველა სახის დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირს ანიჭებს უფლებას, გათავისუფლდეს პირობით ვადაზე ადრე.

წინამდებარე ანგარიშში დანართის სახით წარმოდგენილია რამდენიმე საქმეზე საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარებული სხდომის ოქმები სრულად,⁴² რათა ადვილად შეფასდეს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხი, მათ შორის, გამოიკვეთოს, თუ რა გარემოებებმა განაპირობა მსჯავრდებულთა გარკვეული კატეგორიისათვის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმა, მაშინ როცა ანალოგიური ფაქტობრივი მონაცემებისა და საფუძველების არსებობისას სხვა შემთხვევებში მიღებული იყო დადებითი გადაწყვეტილება.

დანართში მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ საბჭოს დამოკიდებულება გადაწყვეტილების მიღების დროს არაერთგვაროვანი და ხშირად ბუნდოვანია. მაგალითად, თუ ერთ შემთხვევაში საბჭომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია მსჯავრდებულის გათავისუფლება იმ მიზეზით, რომ მას ჩადენილი ჰქონდა მძიმე კატეგორიის ძალადობრივი ხასიათის დანაშაული (იხ. დანართი, გადაწყვეტილებები მსჯავრდე-

⁴² საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში არ დაფიქსირებულა არცერთი შემთხვევა, როდესაც გადაწყვეტილება და სხდომის ოქმი განსხვავდება ერთმანეთისაგან მსჯელობისა თუ დასაბუთების მხრივ. თუმცა, ვინაიდან არსებობს პრეზუმფცია, რომ ოქმი უნდა მოიცავდეს გაცილებით დიდ ინფორმაციას, დანართში უცვლელი სახით წარმოვადგინეთ სწორედ ოქმები.

ბულების – გ.ხ.-სა და ნ.ბ.-ს საქმეები), სხვა შემთხვევაში საბჭოს მიერ გათავისუფლებულ იქნა მკვლელობის მცდელობისათვის მსჯავრდებული პირი (იხ. დანართი, გადაწყვეტილებები მსჯავრდებულების – ა. ა.-ს და თ. ტ.-ს საქმეები). საბჭომ ო. ა.-ს საქმეზე (მსჯავრდებული სს-ის კოდექსის 182-ე მუხლით, მითვისება და გაფლანგვა) მიღებულ გადაწყვეტილებაში, რომლითაც არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, აღნიშნა, რომ მიზანშეუწონლად მიაჩნია მსჯავრდებულის გათავისუფლება, მით უფრო, რომ დაზარალებულთა ნაწილი არ ეთანხმება მასზე შეღავათების გავრცელებას, მაშინ როცა კანონმდებლობით შეფასების მსგავსი კრიტერიუმი საერთოდ გათვალისწინებული არ არის. ამის პარალელურად, საბჭოს გადაწყვეტილებით, პირობით ვადამდე გათავისუფლდნენ მსჯავრდებულები, რომლებიც იყვნენ ადრე ნასამართლევი, ბოლო პერიოდში დასჯილი იყვნენ დისციპლინური წესით (მათ შორის ერთ-ერთი ორჯერ), ამასთან, ერთი მათგანი მსჯავრდებული იყო დანაშაულთა ერთობლიობით (იხ. დანართი, გადაწყვეტილება მსჯავრდებულების – დ. კ.-სა და კ. გ.-ს საქმეებზე).

შესაბამისად, ნათელია საბჭოს აშკარა არათანასწორი მიდგომა ერთი და იმავე სახის დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ და იმის გათვალისწინებით, რომ არ არის მითითებული საბჭოს მიერ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების დასაბუთება. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით, მნიშვნელოვანია გონივრული ხარისხით თანმიმდევრული გადაწყვეტილებების მიღება⁴³.

გარდა ამისა, დანართში მოყვანილი ოქმების ანალიზი ცხადყოფს, რომ საბჭო, თითქმის ყველა შემთხვევაში, ზოგადად, მიუთითებს ტიპური დებულების მე-12 მუხლში განსაზღვრულ კრიტერიუმებზე და არ აკონკრეტებს გარემოებებს, რომლებიც ინდივიდუალურ შემთხვევებში შეისწავლეს და გაითვალისწინეს. ამასთან, არ არის დაკონკრეტებული, რომელ გარემოებას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღებისას.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების შესაბამისად, საბჭოს მიერ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, თუ მიღწეულია სასჯელის მიზანი⁴⁴. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ არცერთ გადაწყვეტილებაში არ იკვეთება, თუ რა გარემოებებმა შეუქმნა შინაგანი რწმენა საბჭოს წევრებს სასჯელის მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით, ან სხვა შემთხვევაში რატომ ვერ იქნა მსგავსი მიზანი მიღწეული. ამ

⁴³ რეკომენდაცია პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ, მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭო, 2003 წლის 24 სექტემბრის რეკომენდაცია Rec(2003)22.

⁴⁴ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის N151 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულება, მე-12 მუხლი, მე-3 პუნქტი.

პრაქტიკის გათვალისწინებით, სასჯელის მიზნის მიღწევის ჩანაწერის არსებობა მხოლოდ ფორმალური მოცემულობაა, რაც პრაქტიკაში ვერ გამოიყენება, ეს კი ეწინააღმდეგება თავად სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების არსს.

დ. საბჭოს წევრის განსხვავებული აზრის დაფიქსირების შესახებ

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების⁴⁵ მიხედვით, ზეპირი მოსმენის დროს იწარმოება ოქმი. მე-16 მუხლი ადგენს ოქმის წარმოების პროცედურას და განსაზღვრავს ოქმის რეკვიზიტებს. დებულების⁴⁶ თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილია, თავისი განსხვავებული აზრი დააფიქსიროს ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმში.

განსხვავებით ზეპირი მოსმენით ჩატარებული სხდომებისა, ზეპირი მოსმენის გარეშე სხდომის ჩატარების შემთხვევაში, მსგავსი შესაძლებლობა საბჭოს წევრისათვის პირდაპირ განსაზღვრული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ არც საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“ და არც ხსენებული დებულება არ მოითხოვს გადაწყვეტილების ერთხმად მიღების აუცილებლობას. ამასთან, დებულების⁴⁷ მიხედვით, სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს 3 წევრი მაინც, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში საბჭოს მიერ გადაწყვეტილებები მიღებულია ერთხმად და არ დაფიქსირებულა შემთხვევა, როცა ოქმში ან გადაწყვეტილებაში მითითებული იყოს რომელიმე წევრის განსხვავებული აზრი.

შესაბამისად, ვინაიდან ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარებული სხდომებისას განსხვავებული აზრის დაფიქსირება პროცედურულ დაბრკოლებებს არ იწვევს, მნიშვნელოვანია, საბჭოს წევრების ეს უფლებამოსილება გათვალისწინებული იყოს ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის შემთხვევაშიც.

ე. ადგილობრივი საბჭოს წევრის აცილება

2010 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის N151 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა

⁴⁵ იქვე, მე-16 მუხლი.

⁴⁶ იქვე, მე-16 მუხლი, მე-5 პუნქტი.

⁴⁷ იქვე, მე-10 მუხლი, მე-2 პუნქტი.

სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულება⁴⁸ ადგენს საბჭოს წევრის აცილების წესსა და პროცედურას, სხდომის ზეპირი მოსმენით გამართვის დროს. მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

„საბჭოს წევრი ვერ მიიღებს ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარებაში მონაწილეობას, თუ მას ნათესაური ურთიერთობა აქვს მსჯავრდებულთან, მსჯავრდებულის დამცველთან, მის კანონიერ წარმომადგენელთან ან დაზარალებულთან. ასევე, თუ არის სხვა გარემოებები, რომლებიც ექვს იწვევს საბჭოს წევრის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში.“

ამ გარემოებების არსებობისას საბჭოს წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილების შესახებ. თუ მას ეს არ განუცხადებია, მსჯავრდებულს, ასევე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვთ, განაცხადონ აცილების თაობაზე. აცილების შესახებ დასაბუთებული განცხადება დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს ზეპირი მოსმენის დაწყებამდე. საბჭო აცილების საკითხს წყვეტს საბჭოს იმ წევრის დაუსწრებლად, რომელსაც აცილება მისცეს. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია თავმჯდომარის ხმა. ხოლო, თუ განიხილება საბჭოს თავმჯდომარის აცილების საკითხი, საბჭოს უხუცესი წევრის ხმა.

საბჭოს თავმჯდომარის აცილების შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი გადაწყდება ზემოხსენებული დებულებით დადგენილი წესით. ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარება გადაიდება საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნამდე. ხოლო, თუ აცილება მისცეს საბჭოს ორზე მეტ წევრს, მაშინ მსჯავრდებულის საქმე განსახილველად გადაეცემა სხვა საბჭოს.⁴⁹

საბჭოს წევრის აცილების შესაძლებლობა, რასაც ეს დებულება ზეპირი მოსმენის ჩატარების დროს იძლევა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა საბჭოს წევრების ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის მიზნებისათვის. თუმცა მსგავსი გარანტია არ არსებობს, როდესაც მსჯავრდებულის ვადამდე გათავისუფლების საკითხს განიხილავს საბჭო ზეპირი მოსმენის გარეშე. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მსგავსი შესაძლებლობის არარსებობა საკითხის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის დროს ამცირებს საბჭოს წევრების მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრეზუმფციას.

ამასთან, უპრიანია, დებულებაშივე განისაზღვროს სასჯელადსრულების შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაციის ვალდებულება ზეპირი მოსმენის გარეშე სხდომის გამართვისას აცნობოს მსჯავრდებულს საბჭოს შემადგენლობის შესახებ, თითოეული წევრის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის მითითებით, რათა მსჯავრდებულს მიეცეს შესაძლებლობა, წარადგინოს დასაბუთებული განცხადება საბჭოს წევრის აცილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დებულების მე-15 მუხლით მინიჭებული

⁴⁸ იქვე, მე-15 მუხლი.

⁴⁹ იქვე, მე-15 მუხლი.

უფლება – საბჭოს წევრის აცილებასთან დაკავშირებით – ზეპირი მოსმენის გარეშე სხდომის გამართვისას შეიძენს ფორმალურ ფუნქციას და არ იქნება შედეგის მომცემი.

5. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია (შემდგომში – მუდმივმოქმედი კომისია) საერთო ზედამხედველობას ახორციელებს საბჭოს საქმიანობაზე⁵⁰. მუდმივმოქმედი კომისია პერიოდულად, მაგრამ არანაკლებ სამ თვეში ერთხელ, განიხილავს საბჭოს მიერ წარდგენილ ანგარიშებს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილებათა შესახებ. მუდმივმოქმედ კომისიას საკუთარი ინიციატივით შეუძლია, გამოითხოვოს საბჭოს მიერ განხილული ნებისმიერი საქმე, რომლითაც მსჯავრდებულს უარი ეთქვა პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე და საკუთარი გადაწყვეტილება დაადგინოს მასზე. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მუდმივმოქმედ კომისიას არც კონკრეტული სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია მიმართავს შესაბამისი შუამდგომლობით, არც მსჯავრდებული ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი.

⁵⁰ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის უფლებამოსილება, მისი შექმნისა და საქმიანობის წესი განსაზღვრულია 2010 წლის 27 დეკემბრის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის N185 ბრძანებით.

მუხლი 3. მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობა და დაკომპლექტების წესი

1. მუდმივმოქმედი კომისია შედგება 7 წევრისაგან.

2. მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) სამინისტროს სისტემის სამი თანამშრომელი, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი (შემდგომში – მინისტრი);

ბ) საპარლამენტო უმრავლესობისა და უმრავლესობის გარეთ დარჩენილ პარლამენტის წევრთა თითო წარმომადგენელი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი;

გ) არასამთავრობო ორგანიზაციის ერთი წარმომადგენელი, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი;

დ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთი წარმომადგენელი, რომელსაც ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

3. [...] არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი წარმომადგენლის კანდიდატურა მინისტრს დასამტკიცებლად წარედგინება სამინისტროს საკოორდინაციო საბჭოს მიერ.

4. მუდმივმოქმედი კომისიის ის წევრები, რომლებიც მუდმივმოქმედ კომისიაში წარმოდგენილნი არიან საქართველოს პარლამენტის, საკოორდინაციო საბჭოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, ექვემდებარებიან როტაციის წესით შეცვლას წელიწადში ერთხელ.

წინამდებარე ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ყურადღება გაამახვილა მხოლოდ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზზე. თუმცა, კომისიის უფლებამოსილების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ჩრილში, მუდმივმოქმედი კომისიის⁵¹ გადაწყვეტილების განხილვა, მსჯავრდებულ ბ. ვ.-ს ძე ლ.-ს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ.

მსჯავრდებულ ბ. ლ.-ს საქმე⁵²

„კომისიამ განიხილა რა მსჯავრდებულ ბ. ვ.-ს ძე ლ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით გამოთხოვილი მასალები, გამოარკვია:

2013 წლის 27 აგვისტოს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დასავლეთ საქართველოს ადგილობრივმა საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. ვ.-ს ძე ლ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი და გადაწყვეტილებით მას უარი ეთქვა პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე.

მსჯავრდებულ ბ. ვ.-ს ძე ლ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებული მასალების თანახმად:

მსჯავრდებული ბ. ვ.-ს ძე ლ., დაბადებული 1988 წელს, ქართველი, საქართველოს მოქალაქე, საშუალო განათლებით, დაუოჯახებელი, მცხოვრები ხობის რაიონში, ნასამართლეობის არმქონე.

⁵¹ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის უფლებამოსილება, მისი შექმნისა და საქმიანობის წესი განსაზღვრულია 2010 წლის 27 დეკემბრის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის N185 ბრძანებით, რომლითაც დამტკიცებულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის დებულება.

ამ დებულების მე-4 მუხლი განსაზღვრავს მუდმივმოქმედი კომისიის უფლებამოსილებას, რომლის მიხედვითაც „მუდმივმოქმედი კომისია უფლებამოსილია:

ა) განიხილოს საბჭოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშები სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებათა თაობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება;

ბ) გამოითხოვოს საბჭოს მიერ განხილული ნებისმიერი საქმე, რომლითაც მსჯავრდებულს უარი ეთქვა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება;

გ) გამოითხოვოს განსახილველ საქმესთან დაკავშირებული მასალები;

დ) განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.“

⁵² მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილება წარმოდგენილია სრული სახით.

ოჯახური მდგომარეობა: ბ. ლ.-ს ჰყავს დედა, მამა, და, ძმა, რომლებთანაც რეგულარული ურთიერთობა აქვს ხანმოკლე ვადიანი პაემნებისა და სატელეფონო საუბრების სახით.

2011 წელს ფოთის საქალაქო სასამართლომ გაასამართლა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნა 7 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, 2013 წლის ფოთის საქალაქო სასამართლოს განჩინებით შეუმცირდა დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა იგი 3 წლის, 6 თვისა და 23 დღის ვადით.

2013 წლის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბ. ლ.-ს შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღის ვადით.

2011 წლის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბრძანების საფუძველზე სასჯელის მოხდა განესაზღვრა დახურული ტიპის დაწესებულებაში.

სასჯელის დასაწყისი: 17.01.2011 წელი.

სასჯელის დასასრული: 09.08.2014 წელი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, პირობით ვადამდე გათავისუფლების ვადა – 2/3 შეუსრულდა 2013 წლის 11 ივნისს.

სასჯელის მოხდის პერიოდში დისციპლინური სახდელი დაეკისრა 3-ჯერ.

2013 წლის მარტის თვის სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის განკარგულებით გამოეცხადა საყვედური, იმ მოტივით, რომ ჩაამსხვრია საკნის სარკმელი.

2013 წლის მარტის თვის სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის განკარგულებით გამოეცხადა საყვედური, იმ მოტივით, რომ საკანში გამოიწვია ხმაური.

2013 წლის მაისის თვის სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის განკარგულებით გამოეცხადა საყვედური, იმ მოტივით, რომ საკანში გამოიწვია ხმაური და უცენზურო სიტყვებით მიმართავდა თანამშრომლებს.

წახალისებულია 1-ჯერ.

2012 წლის ოქტომბრის თვის სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე გამოეცხადა საყვედური.

დანაშაულის ხასიათი: ბ. ლ.-მ პირთა ჯგუფთან ერთად მართლსაწინააღმდეგოდ, მოქ. ე. ლ.-ს კუთვნილი „ოპელ-ასტრას“ მარკის ავტომანქანა ხელთ წამოიყვანა ამ უკანასკნელის სახლიდან, რათა ხმაური შეუმჩნეველი ყოფილიყო. საჭის მექანიზმი ჩაკეტილი იყო, რის გამოც მანქანა გადავიდა სავალი ნაწილიდან და ჩაუვარდა წყლის საწრეტ არხში, რის შემდეგაც მიითვისა მანქანიდან მაგნიტოფონი, სათადარიგო საბურავი, მანქანის ამწე და უკანა ხედვის სარკე. აღნიშნული ნივთები გადამალა მიმდებარე ტერიტორიაზე და იგივე ქმედება თანამზრახველებთან ერთად ჩაიდინა მოქ. მ. მ.-ს მიმართაც.

ბ. ლ. მიდრეკილია თვითდაზიანებისაკენ, მან სასჯელის მოხდის პერიოდში მიიყენა 12 თვითდაზიანება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგიერთი თვითდაზიანების შემთხვევაში მას დასჭირდა ქირურგიული ჩარევა.

კომისიამ განიხილა რა წარმოდგენილი მასალები, მიღებული ინფორმაციის საერთო ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ სასჯელის მიზანი თავისუფლების აღკვეთის სახით მიღწეულია, პიროვნება განიცდის რესოციალიზაციას და მოწოდებულია, საზოგადოებას დაუბრუნდეს სრულფასოვან წევრად, პოზიტიური პასუხისმგებლობის სრული აღქმით.

კომისიამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლით, საქართველოს კანონ „პატიმრობის კოდექსის“ მე-40 და 44-ე მუხლებით, ასევე საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის დებულებით და გადაწყვიტა:

1. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დასავლეთ საქართველოს ადგილობრივ საბჭოში შესული შუამდგომლობა ბ. ვ.-ს ძე ლ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე დაკმაყოფილდეს;
2. მსჯავრდებული ბ. ვ.-ს ძე ლ. გათავისუფლდეს პირობით ვადამდე – 10 (ათი) თვითა და 11 (თერთმეტი) დღით ადრე.“

მუდმივმოქმედმა კომისიამ კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გადასინჯა ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მსჯავრდებულ ბ. ლ.-ს საქმეზე და შეცვალა იგი. თუმცა ზემოთ ციტირებული გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ იგი არ არის დასაბუთებული.⁵³ მუდმივმოქმედი კომისია არ უთითებს არცერთ კონკრეტულ გარემოებაზე, რომელმაც განაპირობა, მის მიერ ადგილობრივი საბჭოსაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება. როგორც

⁵³ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2010 წლის 27 დეკემბრის N185 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.“

უკვე აღინიშნა, ადმინისტრაციული ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილების დასაბუთებულობა აუცილებელია როგორც უშუალოდ მსჯავრდებულისათვის, საქმის არსის განჭვრეტისათვის, ისე ნებისმიერი პირისათვის, რათა თავად ამ გადაწყვეტილების დასაბუთებულობამ გამორიცხოს ტენდენციურობისა და ბუნდოვანების ყოველგვარი ეჭვი. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აქტის ფორმალური კანონიერების დარღვევა შეიძლება გახდეს აქტის ბათილობის საფუძველი, თუკი კონკრეტული გარემოებების შესწავლის შედეგად სხვა შედეგის დადგომის ალბათობა არსებობდა.

იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობით, მუდმივმოქმედი კომისია უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით გამოითხოვოს და გადასინჯოს ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებით, არსებითია, რომ კომისიის ყველა გადაწყვეტილება იყოს ზედმიწევნით დასაბუთებული. სწორედ გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა გამორიცხავს ამ ორგანოების თვითნებობის რისკს.

6. პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებათა განხილვა საერთო სასამართლოებში

ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება ადმინისტრაციული წესით ერთჯერადად გასაჩივრდეს სასამართლოში, მხარის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში.⁵⁴

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ იქნა 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის სექტემბრამდე პერიოდში თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების გასაჩივრების შედეგად სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (20 გადაწყვეტილება) და განჩინებები (188 განჩინება) სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.⁵⁵

სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემური ასპექტი.

⁵⁴ 21-ე მუხლი.

⁵⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 13 სექტემბრის N3-0132/309309 წერილი.

ა. სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა როგორც სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი

მსჯავრდებულთათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე შეტანილი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა სასამართლოს მიერ, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო.

პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებები ხარვეზის დადგენის შესახებ, კერძოდ, 2013 წლის 24 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიეწოდა 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის სექტემბრამდე პერიოდში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული განჩინებები (სულ 188 განჩინება) ხარვეზის დადგენის შესახებ. წარმოდგენილი 188 განჩინებიდან მხოლოდ 103 შემთხვევაში იქნა იდენტიფიცირებული მოპასუხე მხარედ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭო. შესაბამისად, მხოლოდ ეს განჩინებები შეისწავლა სრულყოფილად საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 103 განჩინებიდან 31 შემთხვევაში სარჩელი წარმოებაში არ იქნა მიღებული სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, 65 შემთხვევაში ხარვეზის საფუძველი, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობასთან ერთად, სხვა საპროცესო მოთხოვნის შეუსრულებლობაც იყო, ხოლო 7 შემთხვევაში – ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებით სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი არ იყო ბაჟის გადაუხდელობა.

ეს სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ 96 შემთხვევაში, რაც 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის სექტემბრამდე პერიოდში ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებების სრული რაოდენობის ნახევარზე მეტია, სარჩელის წარმოებაში მიუღებლობის ერთადერთი ან ერთ-ერთი საფუძველი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა იყო.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის⁵⁶ შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდება სარჩელი, რომელიც აღძრულია სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით და არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

⁵⁶ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-9 მუხლი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის⁵⁷ საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მხარეები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას, რაც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით.

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული, რომელსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, არ განიხილება ოჯახის შემადგენლობაში, შესაბამისად, სოციალური დახმარების მიმღები ასეთი მსჯავრდებული პირი ვერ იქნება.⁵⁸

ამ წესის მიხედვით, მსჯავრდებული, რომელიც წარადგენს სასამართლოში ამონაწერს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან მისი ოჯახის წევრების სოციალურად დაუცველის სტატუსის არსებობის შესახებ, არ თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან. შესაბამისად, ასეთი მსჯავრდებულები, რომლებსაც, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ფინანსური საშუალება, ან საერთოდ არ ჰყავთ ოჯახის წევრები, შეზღუდული აქვთ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება და მოკლებულნი არიან სასამართლო კონტროლის გზით კანონიერი ინტერესების დაცვის შესაძლებლობას. თბილისის საქალაქო სასამართლოდან მოძიებული განჩინებები 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის სექტემბრამდე პერიოდში ამ პრობლემას თვალსაჩინოს ხდის.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს სასამართლოს უფლებამოსილებას, მხარე, მისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუმცა, ამ უფლებამოსილების გამოყენება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებასთან დაკავშირებულ საქმეებში, არ ფიქსირდება.

საქმეში – „საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ“ – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყებისათვის ხარჯების გადახდის მოთხოვნა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვად და კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პარაგრაფთან [უფლება სამართლიან სასამართლოზე] per se შეუსაბამოდ (*Weissman and Others v. Romania*, no. 63945/00, §§ 34 and 35, ECHR 2006–... (extracts)). თუმცა ასეთი ხარჯების გონივრულობა უნდა შეფასდეს ამ საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მათ შორის, მომჩივნის უნარით, გადაიხადოს ის და სა-

⁵⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 46-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი, „ვ“ ქვეპუნქტი.

⁵⁸ 2010 წლის 24 აპრილის საქართველოს მთავრობის N126 დადგენილება „ქვეყანაში სიღატაკის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“; 2006 წლის 28 ივლისის საქართველოს მთავრობის N145 დადგენილება „სოციალური დახმარების შესახებ“; 2010 წლის 20 მაისის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N141/ნ ბრძანება „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე.“

სამართლო პროცესის ეტაპით, რომელზეც ვრცელდება ასეთი შეზღუდვა (იხ. *Kreuz*, მითითებული ზემოთ, §58 და 60). უფრო მეტიც, შეზღუდვა სასამართლო მიმართვაზე შეესაბამება მე-6 მუხლის 1-ლ პარაგრაფს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ემსახურება კანონიერ მიზანს და არსებობს გონივრული ურთიერთდამოკიდებულება პროპორციულობის გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის (*Weissman and Others*, ციტირებული ზემოთ, §36)⁵⁹.

ამასთან, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის 26 სექტემბრის რეზოლუციით, პატიმართა ერთ-ერთი პროცედურული გარანტიაა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ზემდგომ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოში გასაჩივრების უფლება⁶⁰.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის საკანონმდებლო მოთხოვნისა და არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, პატიმრებს, უმეტეს შემთხვევაში, შეზღუდული აქვთ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება, რაც, თავის მხრივ, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევაა.

ბ. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა დასაბუთების შესახებ

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის სექტემბრამდე გამოტანილი 20 გადაწყვეტილებიდან 18 გადაწყვეტილებაში სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი და ბათილად არ ცნო საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ; მხოლოდ 2 შემთხვევაში ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი, ბათილად ცნო საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება და დაავალა შესაბამის საბჭოს, კანონით დადგენილ ვადაში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა.

მსჯავრდებულთა – **კ. ბ.-სა და მ. ჯ.-ს** სარჩელებზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2013 წლის 23 აგვისტოს და 30 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებითაც ბათილად იქნა ცნობილი ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებები

⁵⁹ საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №38736/04, 2007 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება, პარა. 41.

⁶⁰ მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის 24 სექტემბრის დეკომენდაცია Rec(2003)22 პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ, პარა. 33.

და დაევაღათ ახალი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემა, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, წინამდებარე ანგარიშში დანართის სახით სრულად იქნეს წარმოდგენილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დანარჩენ 18 შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები ზემოაღნიშნული ორი გადაწყვეტილებისაგან განსხვავებულ მიდგომას ეფუძნება (რამდენიმე მათგანის დასაბუთება ასევე არის წარმოდგენილი დანართის სახით).

თბილისის საქალაქო სასამართლოს 20 გადაწყვეტილების ანალიზი აჩვენებს, რომ უმეტესად იკვეთება სასამართლოს გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობის პრობლემა.

თბილისის საქალაქო სასამართლო თავის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს იხილავს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. თუმცა ერთგვაროვანი სამართლებრივი დასაბუთების პირობებში მსგავსი ფაქტობრივი მონაცემების მქონე საქმეებში მიღებულია განსხვავებული გადაწყვეტილებები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებათა უმრავლესობა არ აფასებს, რამდენად დასაბუთებულია ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებები და შეფასებულია თუ არა თითოეულ საქმეში კერძო და საჯარო ინტერესების თანაფარდობა. ზემოაღნიშნულ მსჯავრდებულთა – კ. ბ.-სა და მ. ჯ.-ს – საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებში სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლზე, რომლის ბოლო წინადადების მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ეს დანაწესი, სასამართლოს მოსაზრებით, აუცილებლად გულისხმობს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების სავალდებულოებას, ვინაიდან მხოლოდ ასეა შესაძლებელი, გაირკვეს, მიღებულ იქნა თუ არა უშეცდომო გადაწყვეტილება. სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებზეც, რომელთა მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემისას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. მ. ჯ.-ს საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს (საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო), მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხელშეწყობისა და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის მიზნით

მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა კრიტერიუმის გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების ვალდებულება აქვს. ამ სამართლებრივ არგუმენტებზე დაყრდნობით, სასამართლომ ჩათვალა, რომ მსჯავრდებულთა – კ. ბ.-სა და მ. ჯ.-ს შემთხვევებზე ადგილობრივმა საბჭოებმა სრულად არ გამოიკვლიეს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ გადაწყვეტილების მისაღებად და ამ საფუძვლით ბათილად ცნო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ უარის თქმის თაობაზე.

მნიშვნელოვანია ამ საქმეების ფაქტობრივი მონაცემები: მ. ჯ. მსჯავრდებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, გასაღება) გათვალისწინებული დანაშაულისათვის, წარსულში ნასამართლევ არ ყოფილა და სასჯელის მოხდის პერიოდში არ იყო დასჯილი ან წახალისებული.

იდენტური ფაქტობრივი გარემოებები არსებობდა მსჯავრდებულ ი. ნ.-ს საქმეში, სადაც სასამართლომ კვლავ გაამახვილა ყურადღება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე, თუმცა ჩათვალა, რომ მსჯავრდებულის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი არის დანაშაულის ხასიათი, რომლის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, რა გარემოებაში და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული და ა. შ.; სასამართლოს განმარტებით, მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი იყო ისეთი განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, როგორცაა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გასაღება და, ჩადენილი დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით, მსჯავრდებულის გათავისუფლება საბჭომ მიზანშეუწონლად მიიჩნია, რაც, სასამართლოს შეფასებით, კანონშესაბამისი გადაწყვეტილება იყო.

ი. ნ.-ს შემთხვევის მსგავსად, ე. ა.-ს საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა: „განსახილველ შემთხვევაში საბჭოს გადაწყვეტილებაში სწორად არის მითითებული, რომ მოსარჩელის მიერ ჩადენილი დანაშაული განეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. ე. ა.-მ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გასაღება. გადაწყვეტილებაში ასევე მართებულადაა აღნიშნული, რომ მოსარჩელე ნასამართლობის არმქონე პირია, სასჯელის მოხდის პერიოდში იგი დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა. ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელეს ჰყავს დედ-მამა, ძმა და და.“

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადგილობრივი საბჭოების მსგავსად, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათს ენიჭება, მაშინ, როცა ეს დებულების მე-12 მუხლით დადგენილი მხოლოდ ერთ-ერთი კრიტერიუმია და იგი სხვა კრიტერიუმებით განხორციელებულ შეფასებასთან ერთად უნდა იქნეს განხილული და გათვალისწინებული.

მართალია, საერთო სასამართლოების კონტროლის მოცულობა შეზღუდულია იმ გარემოების შემოწმებით, კანონით დადგენილ ფარგლებში იყო თუ არა დისკრეციული უფლებამოსილება განხორციელებული და, მინიჭებული უფლებამოსილების გადაჭარბების თავიდან აცილების შემთხვევაში, არსებობდა თუ არა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების ალბათობა. ამასთან, სასამართლო კონტროლით არ შეიძლება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების შეზღუდვა, თუმცა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დანაწესიდან⁶¹ გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს, თუ რამდენად კანონიერად გამოიყენა ადმინისტრაციულმა ორგანომ მინიჭებული ექსკლუზიური უფლებამოსილება, ხომ არ გასცდა გადაწყვეტილების მიღებისას ლეგიტიმურ ფარგლებს და ხომ არ უგულებელყო კანონის მიზნები. ამასთან, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო, ამ შემთხვევაში – ადგილობრივი საბჭო, არის ვალდებული, დაასაბუთოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება,⁶² შესაბამისად, სასამართლოს აქვს ვალდებულება, შეამოწმოს, რამდენად არის შესრულებული კანონმდებლის ეს მოთხოვნა ადგილობრივი საბჭოს მიერ. ამასთან, არსებითია, რომ საერთო სასამართლოების პრაქტიკა იყოს თანმიმდევრული და მსგავსი ფაქტობრივი და სამართლებრივი მოცემულობის შემთხვევებში მიღებული გადაწყვეტილებები არსებითად არ განსხვავდებოდეს, რაც აღინიშნა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების შემთხვევაში.⁶³

გ. სასამართლო გადაწყვეტილებების შაბლონური ხასიათი

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში დაფიქსირდა არაერთი შემთხვევა, როდესაც სასამართლოს მითითებული ჰქონდა საქართველოს კანონ „პატიმრობის კოდექსის“ 42-ე მუხლის პირველი ნაწილის ძველი რედაქცია, რომლის მიხედვით, მსჯავრდებულს, მის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს, ახლო ნათესავს ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორს შეეძლოთ, კანონით დადგენილი წესით წარედგინათ საბჭოსათვის მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის

⁶¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მე-7 მუხლი.

⁶² 2010 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის N151 ბრძანება „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“, მე-20 მუხლი, მე-2 პუნქტი.

⁶³ იხ. დანართში წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები.

სასჯელით შეცვლის შესახებ შუამდგომლობა და საკითხის განსახილველად აუცილებელი დოკუმენტაცია.

ამ ნორმის მითითება დაფიქსირდა 2013 წლის სასამართლო გადაწყვეტილებებში მაშინ, როდესაც 2013 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს საქართველოს კანონ „პატიმრობის კოდექსის“ 42-ე მუხლის პირველი ნაწილის ახალი რედაქცია, რომლის მიხედვით, *„თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილი ვადა, ადმინისტრაცია ვალდებულია, საბჭოს დაუყოვნებლივ წარუდგინოს შესაბამისი შუამდგომლობა და ამის შესახებ აცნობოს მსჯავრდებულს.“*

მსგავსი გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად ჩნდება ვარაუდი, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში მხოლოდ მსჯავრდებულის ინდივიდუალური მონაცემებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების ჩანაცვლება ხდება. ხოლო დასაბუთების ნაწილში გამოყენებულია შაბლონურად შემუშავებული ტექსტი, რომელშიც, ბუნებრივია, დარჩა შესაბამისი კანონის ძველი რედაქციის დებულება.

მსგავსი შემთხვევები ლეგიტიმურ კითხვებს ბადებს სასამართლო ხელისუფლების მიერ მისი უფლებამოსილების ჯეროვნად და გულისხმიერად განხორციელებაზე და ადაბლებს ნდობას მართლმსაჯულების სისტემისადმი, რაც არ არის მისასალმებელი.

დასკვნა

წინამდებარე ანგარიშში გამოიკვეთა მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა/გადაწყვეტის პროცესში არსებული როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკაში არსებული ხარვეზები. ნაკლოვანებები ფიქსირდება როგორც ადგილობრივი საბჭოებისა და მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობაში, ასევე საერთო სასამართლოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ საბჭოების გადაწყვეტილებების განხილვის პროცესში.

მნიშვნელოვანია, ანგარიშში გამოკვეთილი პრობლემების აღმოსაფხვრელად გატარდეს კომპლექსური ღონისძიებები – ცვლილებები აუცილებელია როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე პრაქტიკაში, რათა მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლება იყოს პრაქტიკაში რეალიზებადი უფლება, დამკვიდრდეს საკითხის განხილვის განჭვრეტადი მექანიზმი, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს არაერთგვაროვან მიდგომას და პატიმრებში უსამართლობის განცდას.

ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია, ადგილობრივმა საბჭოებმა სწორად გაითავისონ კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების არსი და მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას ძირითადი ყურადღება, დანაშაულის ხასიათისა და კატეგორიის ნაცვლად, გადატანილი იყოს პირის რესოციალიზაციის შედეგზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი უშუალოდ პატიმრის/მისი წარმომადგენლის ჩართულობა საკითხის განხილვაში.

არსებითია, თითოეულ მსჯავრდებულთან ინტენსიურად მუშაობდნენ სოციალური სამსახურის თანამშრომლები და ფსიქოლოგები, რომლებიც დეტალურად შეაფასებენ სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულთა ქცევას, მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, დამოკიდებულებას მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმართ და საბოლოოდ შეაფასებენ, აუცილებელია თუ არა პირის საზოგადოებისაგან შემდგომი იზოლაცია. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს ვალდებულებისაგან არ ათავისუფლებს საკმარისი მატერიალური და ადამიანური რესურსის არქონა, ვინაიდან სწორედ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თითოეული პირის, მათ შორის მსჯავრდებულის, კანონიერი ინტერესის დაცვა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმის არსებობას, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველყოფისა და საერთო სასამართლოების მიერ საქმის არსებითი და პროცესუალური ხარვეზების შესწავლისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის გზით.

რეკომენდაციები

1. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოებსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მუდმივმოქმედ კომისიას – გადაწყვეტილება (მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებით) მიღებულ იქნეს კანონშესაბამისად, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებზე დაყრდნობით, შეფასების კრიტერიუმების სრულად გაანალიზებისა და სრულყოფილად შესწავლის საფუძველზე;

2. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოებს – მაქსიმალურად ხშირად იყოს უზრუნველყოფილი პატიმრის პირადი ჩართულობა საკითხის განხილვის პროცესში; ასევე მიეცეს შესაძლებლობა, გაეცნოს

პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ მის საქმეში არსებულ მასალებს, რაც გარანტირებულს გახდის საკითხის ჯეროვან და სრულყოფილ შესწავლასა და გამჭვირვალებობისა და განჭვრეტადობის პრინციპების დაცვას;

3. სასჯელაღსრულების დაწესებულებებს – ადგილობრივ საბჭოებს წარედგინოს მსჯავრდებულთა სრულყოფილი და ინფორმაციული დახასიათებები;

4. საქართველოს საერთო სასამართლოებს – წარმოდგენილი კატეგორიის საქმეებზე მიღებულ იქნეს დასაბუთებული გადაწყვეტილებები, მათ შორის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დეტალურად შეფასდეს, რამდენად პასუხობს ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას სავალდებულოდ გასათვალისწინებელ პრინციპებს. მოხდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოყენება;

5. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს – განხორციელდეს, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წინამდებარე სპეციალურ ანგარიშში წარმოდგენილ ხარვეზებთან დაკავშირებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

დანართი

1. ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებები მსჯავრდებულთა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებასთან დაკავშირებით

ა. გადაწყვეტილებები, რომლებითაც უარი ეთქვათ მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე

მსჯავრდებულ გ. ხ.-ს საქმე

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს ზეპირი მოსმენის გარეშე 2013 წლის 28 თებერვალს ჩატარებული სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ მსჯავრდებულ გ. ხ., დაბადებული 1991წელს, საქართველოს მოქალაქე, დასაოჯახებელი, სამუალო განათლებით, ნასამართლეობის არმქონე, გასამართლებულია 2011 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, საქართველოს სსკ-ის 179-ე

მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით [ყაჩაღობა], განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 3 წელი პირობითი. 2013 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ ერთი მეოთხედით შეუმცირა სასჯელი და განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, 2 წელი და 3 თვე პირობითი.

სასჯელის დასაწყისი – 14.02.2011 წ.

სასჯელის დასასრული – 14.05.2013 წ.

სასჯელის 2/3 მოიხადა – 14.08.2012 წ.

დანაშაულის ხასიათი: 2011 წლის თებერვალში გ. ხ.-მ, ნ. ხ.-მ და ზ. თ.-მ განიზრახეს, ყაჩაღური გზით დაუფლებოდნენ სხვის მოძრავ ნივთს, ამისათვის მათ გააჩერეს ტაქსი, რომელსაც მართავდა ზ.ა. და მოსთხოვეს დილმის მასივში წაყვანა. ადგილზე მისვლისას ნ. ხ.-მ მას მოსთხოვა მანქანის გაჩერება, რა დროსაც ზ. თ.-მ ამოიღო დანის მაგვარი მჩხვლეტავი საგანი და ზ. ა.-ს მიაბჯინა კისრის არეში, დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით და მოსთხოვა ფული. ანალოგიური მოთხოვნა და მუქარა გაიმეორეს ნ. ხ.-მ და გ. ხ.-მ. მათ ზ. ა.-ს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით გამოსტაცეს 4 ლარი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

გ. ხ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ერთ-ერთ დაწესებულებაში სასჯელს იხდის 01.04.2011 წლიდან. მოყვანისთანავე გაეცნო დაწესებულების შინაგანაწესისა და სარეჟიმო მოთხოვნების დაცვის აუცილებლობას. მსჯავრდებულს სისტემატიური ურთიერთობა აქვს თავის სამსულიან ოჯახთან. სარგებლობს კანონით გათვალისწინებული სატელეფონო საუბრებით. სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა.

საბჭომ მსჯავრდებულ გ. ხ.-ს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას იხელმძღვანელა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების მე-12 მუხლით დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით, კერძოდ:

1. მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში – გამოყენებული დისციპლინური, ადმინისტრაციული და წახალისების ღონისძიებები;
2. მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლეობა – რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისათვის და რამდენჯერ იყო წარსულში ნასამართლევი მსჯავრდებული;

3. ოჯახური პირობები – მსჯავრდებულის დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვა;

4. დანაშაულის ხასიათი – ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, რა გარემოებებსა და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული და ა. შ.;

5. მსჯავრდებულის პიროვნება – მსჯავრდებულის დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან, მსჯავრდებულის დამოკიდებულება დაწესებულების ადმინისტრაციასა და სხვა მსჯავრდებულებთან, აგრესიულობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

საბჭომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ჩადენილია მძიმე კატეგორიის ძალადობრივი ხასიათის დანაშაული, რომელიც მომეტებული საფრთხის შემცველია საზოგადოებისათვის, დანაშაული ჩადენილია წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ასევე სხვა გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მისაღებად და საერთო ანალიზის საფუძველზე, ყოველივე ზემოაღნიშნულის თანახმად, საბჭომ კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსების გათვალისწინებით, ერთხმად გადაწყვიტა, რომ ზემოთქმული გარემოებების გამო, ამ ეტაპზე არ არის მიღწეული სასჯელის მიზანი, რის გამოც გ. ხ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლება მიზანშეუწონლად მიიჩნია.

მსჯავრდებულ ო. ა.-ს საქმე

2013 წლის 30 მაისის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარებული სხდომის ოქმის მიხედვით:

მსჯავრდებული ო. ა.-ს ძე ა., დაბადებული 1971 წელს, საქართველოს მოქალაქე, უმაღლესი განათლების მქონე, დაოჯახებული, ნასამართლეობის არმქონე, გასამართლებულია 2010 წლის 8 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით [მითვისება ან გაფლანგვა] და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2010 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით სასჯელი უცვლელად იქნა დატოვებული.

2011 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული.

2013 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასჯელის დასაწყისი: 20.07.2009 წ.

სასჯელის დასასრული: 20.07.2014 წ.

სასჯელის $\frac{3}{4}$ მოიხადა: 20.04.2013 წ.

დანაშაულის ხასიათი: 2007 წელს ო. ა.-მ მ. ლ.-სა და ვ. ს.-სთან ერთად დააფუძნა ინდივიდუალური ბინათმშენებლობა, ამხანაგობა, რომელიც 2007 წელს რეგისტრაციაში გატარდა თბილისის საგადასახადო ინსპექციაში. 2008 წელს ო. ა.-მ უკანონოდ მიითვისა ამხანაგობის კუთვნილი თანხები, სულ 827 059 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულ ო. ა.-ს ჰყავს დედა, ძმა, მეუღლე და შვილები. მას ურთიერთობა ხანმოკლე პაემნების სახით აქვს მეუღლესთან, ძმასა და შვილებთან, მასვე აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებული ტელეფონით.

სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა.

მსჯავრდებული ო. ა. ინდივიდუალური ხასიათის ღონისძიებებზე რეაგირებს დადებითად, მეგობრობს დადებითი ორიენტაციის მქონე მსჯავრდებულებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ხასიათდება დადებითად.

საბჭომ მსჯავრდებულ ო. ა.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას იხელმძღვანელა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების მე-12 მუხლით დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით, კერძოდ:

1. მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში – გამოყენებული დისციპლინური, ადმინისტრაციული და წახალისების ღონისძიებები;
2. მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლეობა – რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისათვის და რამდენჯერ იყო წარსულში ნასამართლევი მსჯავრდებული;

3. ოჯახური პირობები – მსჯავრდებულის დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვა;
4. დანაშაულის ხასიათი – ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, რა გარემოებასა და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული და ა. შ.;
5. მსჯავრდებულის პიროვნება – მსჯავრდებულის დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან, მსჯავრდებულის დამოკიდებულება დაწესებულების ადმინისტრაციასა და სხვა მსჯავრდებულებთან, აგრესიულობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

საბჭომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მსჯავრდებული ხასიათდება დადებითად, თუმცა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, რამაც გამოიწვია დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი; ასევე, გათვალისწინებულ იქნა ის ფაქტი, რომ, როგორც საბჭოსათვის დამატებით წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, მსჯავრდებულის მიერ განხორციელებული ქმედების შედეგად დაზარალებულად ცნობილი მოქალაქეების ნაწილი წინააღმდეგია მსჯავრდებულზე შეღავათის გავრცელებისა და კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსების გათვალისწინებით, საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ ამ ეტაპზე არ არის მიღწეული სასჯელის მიზანი, რის გამოც ო. ა.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლება მიზანშეუწონლად მიიჩნია.

მსჯავრდებულ ნ. ბ.-ს საქმე

2013 წლის 28 თებერვლის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარებული სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ მსჯავრდებული ნ. ბ., დაბადებული 1991 წელს, საქართველოს მოქალაქე, არასრული საშუალო განათლების მქონე, დასაოჯახებელი, მცხოვრები და რეგისტრირებული ქ. გორში, ნასამართლეობის არმქონე, გასამართლებულ იქნა 2011 წელს გორის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით [ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება] და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის განჩინებით, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნ. ბ.-ს ერთი მესამედით შეუმცირდა გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და ამ

მუხლით მოსახდელად დარჩა 2 წელი. საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო დაკავების დროიდან, 2011 წლიდან.

სასჯელის დასაწყისი: 07.07.2011 წ.

სასჯელის დასასრული: 07.07.2013 წ.

სასჯელის 1/3 მოიხადა: 07.07.2012 წ.

(საქართველოს სსკ-ის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად).

დანაშაულის ხასიათი: 2011 წელს ღამის საათებში ქ. გორში, გრიბოდოვის ქუჩა N15/23-ში მცხოვრებ ნ. ბ.-სთან სტუმრად მივიდა მ. ქ., ამ უკანასკნელსა და მისი სტუმრობით განაწყენებულ ნ. ბ.-ს შორის წარმოშობილი ურთიერთშელაპარაკება გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში, რა დროსაც ნ. ბ.-მ განიზრახა მ. ქ.-სთვის მიეყენებინა ჯანმრთელობის დაზიანება, სამზარეულოს დანით მიაყენა მას ნაკვეთი-ნაჩხვლეტი ჭრილობა საზარდულის არეში – სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება.

ნ. ბ. ქალთა პატიმრობის ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შეყვანილ იქნა 2011 წელს.

სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებული ნ. ბ. დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა.

მსჯავრდებულ ნ. ბ.-ს კარგი ურთიერთობა აქვს მსჯავრდებულებთან, თავაზიანია თანამშრომლებთან, დისციპლინირებულია. ჩადენილ დანაშაულში თავს ცნობს დამნაშავედ. პაემანზე ხვდება მეუღლეს, აქვს სატელეფონო საუბრები ოჯახის წევრებთან.

საბჭომ მსჯავრდებულ ნ. ბ.-ს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას იხელმძღვანელა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების მე-12 მუხლით დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით, კერძოდ:

1. მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში – საბჭომ გაითვალისწინა და მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა.
2. მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლეობა – საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მსჯავრდებული ნ. ბ. პირველად იხდის სასჯელს.

3. ოჯახური პირობები – საბჭომ დადებითად შეაფასა მისი დამოკიდებულება ოჯახთან. მას ურთიერთობა აქვს მეუღლესთან. ასევე, სარგებლობს კანონით გათვალისწინებული სატელეფონო საუბრებით.

4. დანაშაულის ხასიათი – საბჭომ ყურადღება გაამახვილა ჩადენილი დანაშაულის ხასიათზე. მსჯავრდებული გასამართლებულია საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით. იგი განეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რაც გულისხმობს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის. კერძოდ, მსჯავრდებულმა მ. ქ.-ს სამზარეულოს დანით მიაყენა ნაკვეთი-ნაჩხვლეტი ჭრილობა საზარდულის არეში, რითაც მიაყენა სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება.

5. მსჯავრდებულის პიროვნება – ნ. ბ.-ს კარგი ურთიერთობა აქვს მსჯავრდებულებთან, თავაზიანია თანამშრომლებთან, დისციპლინირებულია. ჩადენილ დანაშაულში თავს ცნობს დამნაშავედ.

საბჭომ იმსჯელა დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის პიროვნებისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით. გაითვალისწინა მისი ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში. დადებითად შეაფასა პატიმრის დამოკიდებულება ოჯახის წევრებსა და დაწესებულების ადმინისტრაციასთან. თუმცა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეზე. იგი განეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რაც გულისხმობს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის. კერძოდ, მსჯავრდებულმა მ. ქ.-ს სამზარეულოს დანით მიაყენა ნაკვეთი-ნაჩხვლეტი ჭრილობა საზარდულის არეში, რითაც გამოიწვია სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭომ კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსების გათვალისწინებით, ერთხმად გადაწყვიტა, რომ ზემოთქმული გარემოებების გამო, ამ ეტაპზე, არ არის მიღწეული სასჯელის მიზანი, რის გამოც ნ. ბ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლება მიზანშეუწონლად მიიჩნია.

ბ. გადაწყვეტილებები მსჯავრდებულთა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ

მსჯავრდებულ ა. ა.-ს საქმე

2013 წლის 25 აპრილის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარებული სხდომის ოქმის მიხედვით:

მსჯავრდებული ა. ა., დაბადებული 1985 წელს, საქართველოს მოქალაქე, საშუალო განათლების მქონე, დაოჯახებული, ნასამართლეობის არმქონე, გასამართლებულია 2009 წელს გორის რაიონული სასამართლოს მიერ სსკ-ის 19, 108-ე მუხლით [მკვლელობის მცდელობა] და განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2010 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უცვლელი დარჩა.

2010 წლის მაისის თვეში საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით საჩივარი არ იქნა დაშვებული.

2013 წელს გორის რაიონული სასამართლოს განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასჯელის დასაწყისი: 09.09.2009 წ.

სასჯელის დასასრული: 09.09.2013 წ.

სასჯელის $\frac{3}{4}$ მოიხადა: 09.09.2012 წ.

დანაშაულის ხასიათი: 2007 წელს ა. ა. იმყოფებოდა გორის რაიონის ერთ-ერთ სოფელში თავის მეგობარ მ. პ.-ს დაბადების დღეზე, რის შემდეგაც ნასვამ მდგომარეობაში ა. ა.-ს ურთიერთშელაპარაკება მოუვიდა რ. თ-სთან, რომელსაც თანნაქონი დანით გულმკერდის არეში მიაყენა შემავალი ჭრილობა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მსჯავრდებულ ა. ა.-ს ჰყავს დედა, ბიძა, შვილი და ძმა, რომლებთანაც ჰქონდა ხანმოკლე პაემანი. მას ასევე აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებული ტელეფონით.

სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა.

მსჯავრდებული ა. ა. თანამშრომლებთან თავაზიანია, მეგობრობს დადებითი ორიენტაციის მქონე მსჯავრდებულებთან, ამ ეტაპზე დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ხასიათდება დადებითად.

საბჭომ მსჯავრდებულ ა. ა. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას იხელმძღვანელა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების მე-12 მუხლით დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით, კერძოდ:

1. მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში – გამოყენებული დისციპლინური, ადმინისტრაციული და წახალისების ღონისძიებები;
2. მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლეობა – რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისათვის და რამდენჯერ იყო წარსულში ნასამართლევი მსჯავრდებული;
3. ოჯახური პირობები – მსჯავრდებულის დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვა.;
4. დანაშაულის ხასიათი – ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, რა გარემოებასა და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული და ა. შ.;
5. მსჯავრდებულის პიროვნება – მსჯავრდებულის დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან, მსჯავრდებულის დამოკიდებულება დაწესებულების ადმინისტრაციასა და სხვა მსჯავრდებულებთან, აგრესიულობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

საბჭომ განიხილა რა ზეპირი მოსმენის გარეშე სხდომაზე მსჯავრდებულის მიმართ შეფასების კრიტერიუმები, სხვა გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მისაღებად და მიღებული ინფორმაციის საერთო ანალიზის საფუძველზე, ერთხმად გადაწყვიტა, რომ დაკმაყოფილდეს შუამდგომლობა მსჯავრდებულ ა. ა.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე.

მსჯავრდებულ თ. ტ.-ს საქმე

2013 წლის 30 მაისის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს, ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარებული სხდომის ოქმის თანახმად:

მსჯავრდებული თ. ტ., დაბადებული 1990 წელს, საქართველოს მოქალაქე, საშუალო განათლების მქონე, დასაოჯახებელი, ნასამართლეობის არმქონე, გასამართლებულია 2011 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სსკ-ის 19, 108-ე მუხლით [მკვლელობის მცდელობა] და განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 4 წელი რეალურად მოსახდელად, ხოლო 4 წელი პირობით.

2013 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 2 წელი პირობით.

სასჯელის დასაწყისი: 25.07.2011 წ.

სასჯელის დასასრული: 25.07.2013 წ.

სასჯელის $\frac{3}{4}$ მოიხადა: 25.01.2013 წ.

დანაშაულის ხასიათი: 2011 წელს თ. ტ.-ს შელაპარაკება მოუვიდა ზ. ლ.-სთან, რა დროსაც ჯიბიდან ამოიღო დანა და განზრახ მკვლელობის მიზნით რამდენიმეჯერ დაარტყა, რითაც ამ უკანასკნელს მიაყენა მუხლის წინა კედლის ნაკვეთი ჭრილობები, შეშავალი მუცლის ღრუში, და შემთხვევის ადგილიდან მიიძალა. ზ. ლ. გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში, სადაც ექიმებმა შეძლეს მისი სიცოცხლის შენარჩუნება.

მსჯავრდებულ თ. ტ.-ს სასჯელალსრულების დაწესებულებაში ხანმოკლე პაემანი ჰქონდა დედასთან, მამასთან, დასთან; მას ასევე აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებული ტელეფონით.

სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა.

მსჯავრდებული თ. ტ. თანამშრომლებთან თავაზიანია, პირად საუბრებში ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, მეგობრობს დადებითი ორიენტაციის მქონე მსჯავრდებულებთან, ამ ეტაპზე დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ხასიათდება დადებითად.

საბჭომ მსჯავრდებულ თ. ტ.-ს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას იხელმძღვანელა საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების მე-12 მუხლით დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით, კერძოდ:

1. მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში – გამოყენებული დისციპლინური, ადმინისტრაციული და წახალისების ღონისძიებები;
2. მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლეობა – რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისათვის და რამდენჯერ იყო წარსულში ნასამართლევი მსჯავრდებული;
3. ოჯახური პირობები – მსჯავრდებულის დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვა;
4. დანაშაულის ხასიათი – ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, რა გარემოებასა და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული და ა. შ;
5. მსჯავრდებულის პიროვნება – მსჯავრდებულის დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან, მსჯავრდებულის დამოკიდებულება დაწესებულების ადმინისტრაციასა და სხვა მსჯავრდებულებთან, აგრესიულობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

საბჭომ განიხილა რა ზეპირი მოსმენის გარეშე სხდომაზე მსჯავრდებულის მიმართ შეფასების კრიტერიუმები, სხვა გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მისაღებად და მიღებული ინფორმაციის საერთო ანალიზის საფუძველზე ერთხმად გადაწყვიტა, რომ დაკმაყოფილდეს შუამდგომლობა მსჯავრდებულ თ. ტ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე.

მსჯავრდებულ დ. კ.-ს საქმე

2013 წლის 30 მაისის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარებული სხდომის ოქმის მიხედვით, მსჯავრდებული დ. კ., დაბადებული 1991 წელს, საქართველოს მოქალაქე, არასრული საშუალო განათლების მქონე, დაოჯახებული, მცხოვრები ქარელში, ნასამართლეობის მქონე, 2009 წელს ხაშურის რაიონული სასამართლოს განაჩენით სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით [ქურდობა], მიესაჯა 3 წელი და 9 თვე პირობითი.

ამჟამად გასამართლებულია 2011 წელს ხაშურის რაიონული სასამართლოს მიერ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით [ქურდობა] და მიესაჯა 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით მოუხდელი სასჯელი და განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2013 წელს ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, განესაზღვრა 2 წლით, 9 თვითა და 23 დღით თავისუფლების აღკვეთა.

სასჯელის დასაწყისი : 21.06.2011 წ.

სასჯელის დასასრული : 13.04.2014 წ.

სასჯელის 2/3 მოიხადა: 06.05.2013 წ.

დანაშაულის ხასიათი: 2011 წელს დ. კ.-მ, თანამზრახველთან ერთად, უკანონოდ შეაღწია ქარელის რაიონში მდებარე სს-ის კუთვნილ ტერიტორიაზე და წინასწარი შეთანხმებით მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ისინი ფარულად დაეუფლნენ სახარატო ჩარხის საბრუნავ ღერძს, რამაც 1500 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მსჯავრდებულ დ. კ.-ს ჰყავს დედა, ძმები, მეუღლე და შვილი, რომლებთანაც ურთიერთობა ხანმოკლე პაემნების სახით ხშირად ჰქონდა. მან ასევე ისარგებლა ხანგრძლივი პაემნით მეუღლესა და შვილთან.

სასჯელის მოხდის პერიოდში წახალისებული არ ყოფილა, ხოლო დასჯილია:

2012 წლის განკარგულების საფუძველზე შეეზღუდა მაღაზიით სარგებლობის უფლება 1 თვის ვადით.

მსჯავრდებული დ. კ., მართალია, სასჯელის მოხდის პერიოდში წახალისებული არ ყოფილა, მაგრამ მასთან ურთიერთობიდან ჩანს, რომ დადებითად არის განწყობილი აღმზრდელითი ხასიათის საუბრების მიმართ, პირად საუბრებში ბოლომდე ინანიებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს, გამოირჩევა თავაზიანობით თანამშრომლებთან, მეგობრობს დადებითი ორიენტაციის მსჯავრდებულებთან, აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ხასიათდება დადებითად.

საბჭომ მსჯავრდებულ დ. კ.-ს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას იხელმძღვანელა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების მე-12 მუხლით დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით, კერძოდ:

1. მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში – გამოყენებული დისციპლინური, ადმინისტრაციული და წახალისების ღონისძიებები;
2. მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლეობა – რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისათვის და რამდენჯერ იყო წარსულში ნასამართლევი მსჯავრდებული;
3. ოჯახური პირობები – მსჯავრდებულის დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვა;
4. დანაშაულის ხასიათი – ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, რა გარემოებასა და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული და ა.შ;
5. მსჯავრდებულის პიროვნება – მსჯავრდებულის დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან, მსჯავრდებულის დამოკიდებულება დაწესებულების ადმინისტრაციასა და სხვა მსჯავრდებულებთან, აგრესიულობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

საბჭომ განიხილა რა ზეპირი მოსმენის გარეშე სხდომაზე მსჯავრდებულის მიმართ შეფასების კრიტერიუმები, სხვა გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მისაღებად და მიღებული ინფორმაციის საერთო ანალიზის საფუძველზე,

ერთხმად გადაწყვიტა, რომ დაკმაყოფილდეს შუამდგომლობა მსჯავრდებულ დ. კ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე.

მსჯავრდებულ კ. გ.-ს საქმე

2013 წლის 1 აგვისტოს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარებული სხდომის ოქმის მიხედვით, მსჯავრდებული კ. გ., დაბადებული 1973 წელს, საქართველოს მოქალაქე, საშუალო განათლებით, დაოჯახებული, ნასამართლეობის მქონე, მცხოვრები ქ. თბილისში, გასამართლებულია 2012 წელს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით [მარცვა]. სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის, 1 თვისა და 4 დღის ვადით, რასაც დაემატა 2011 წლის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წელი, 10 თვე და 26 დღე. სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა 12 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 8 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დახურული ტიპის დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 4 წელი ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

28.12.2012 წლის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 2013 წლის ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით გათავისუფლდა სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელისაგან, ხოლო 1/4-ით შეუმცირდა 2012 წლის განაჩენით დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა 2 წლით, 3 თვითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა, პირობით 3 წელი, გამოსაცდელი ვადა – 3 წელი და 9 თვე.

სასჯელის დასაწყისი: 13.08.2011 წ.

სასჯელის დასასრული: 08.12.2013 წ.

სასჯელის 2/3 შეუსრულდა: 29.02.2013 წ.

დანაშაულის ხასიათი: 2011 წელს გვიან ღამით კ. გ. მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩაზე, სადაც შენიშნეს ირანის მოქალაქე ა.ე. მივიდნენ მასთან, გამოელაპარაკნენ და შესთავაზეს ლუდის დაღევა. რამდენიმე წუთში მათ დაზარალებულს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და აშკარად გამოსტაცეს მობილური ტელეფონი და ფულადი თანხა, რითაც დაზარალებულს მიაყენეს 1300 აშშ-ის დოლარის მატერიალური ზიანი.

მსჯავრდებული კ. გ. სასჯელადსრულების დაწესებულებაში სასჯელს იხდის 2011 წლიდან. სასჯელის მოხდის პერიოდში მის მიმართ დისციპლინური სახდელი გამოყენებული იყო ორჯერ:

1. 2011 წელს დაწესებულების დირექტორის განკარგულებით მოთავსებულ იქნა სამართლო საკანში 10 დღე-ღამის ვადით;
2. 2012 წელს დაწესებულების დირექტორის განკარგულებით მოთავსებულ იქნა სამართლო საკანში 10 დღე-ღამის ვადით.

წახალისების ფორმა გამოყენებული არ ყოფილა.

ამ ეტაპზე იგი ინდივიდუალური ხასიათის ღონისძიებებზე რეაგირებს დადებითად. იჩენს თავაზიანობას როგორც მის გვერდით მყოფი პატიმრების, ისე ადმინისტრაციის თანამშრომლების მიმართ. პირად საუბრებში ბოლომდე ინანიებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს და ცდილობს, დაადგეს გამოსწორების გზას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხასიათდება დადებითად.

ოჯახური მდგომარეობა: დედა, ძმა, მეუღლე და შვილი.

საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე იმსჯელა საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების მე-12 მუხლით დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით, კერძოდ:

1. მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში – გამოყენებული დისციპლინური, ადმინისტრაციული და წახალისების ღონისძიებები;
2. მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლეობა – რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისათვის და რამდენჯერ იყო წარსულში ნასამართლევი მსჯავრდებული;
3. ოჯახური პირობები – მსჯავრდებულის დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვა;
4. დანაშაულის ხასიათი – ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, რა გარემოებასა და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული და ა. შ.;
5. მსჯავრდებულის პიროვნება – მსჯავრდებულის დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან, მსჯავრდებულის დამოკიდებულება დაწესებულების ადმინისტრაციასა და სხვა მსჯავრდებულებთან, აგრესიულობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

საბჭომ განიხილა რა ზეპირი მოსმენის გარეშე სხდომაზე მსჯავრდებულის მიმართ შეფასების კრიტერიუმები, სხვა გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვანია გადაწყვე-

ტილების მისაღებად და მიღებული ინფორმაციის საერთო ანალიზის საფუძველზე, ერთხმად გადაწყვიტა, რომ დაკმაყოფილდეს შუამდგომლობა მსჯავრდებულ კ. გ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები

ა. გადაწყვეტილებები, რომლებითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულთა სარჩელები პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებაზე

მოქალაქე მ. ჯ.-ს საქმე

სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის განაჩენით მ. ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით [ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება] და სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის განაჩენით ცვლილება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის განაჩენში: მ. ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, მასვე, დამატებითი სასჯელის სახით, განესაზღვრა ჯარიმა 30 000 ლარის ოდენობით.

ამ სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, „სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მ. ჯ.-ს პირადი საქმე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის განჩინებით, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით მ. ჯ.-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის განაჩენით დანიშნული

სასჯელი და მოსახდელად დარჩა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მ. ჯ.-ს პირადი საქმე.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2013 წლის ოქმის თანახმად, საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე მ. ა.-ს ძე ჯ.-ს შუამდგომლობა. საბჭომ საქმის განხილვისას იხელმძღვანელა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების მე-12 მუხლით დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით, ყურადღება გაამახვილა დანაშაულის ხასიათზე, კერძოდ, ჩადენილი იყო განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, რაც გამოიხატა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვაში, რასაც თან ახლდა საზოგადოებისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი გასაღების მიზანიც, ასევე სხვა გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო გადაწყვეტილების მისაღებად და ერთხმად გადაწყვიტა, რომ ამ ეტაპზე არ არის მიღწეული სასჯელის მიზანი, რის გამოც მ. ჯ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლება მიზანშეუწონლად მიიჩნია. შესაბამისად, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2013 წლის მარტის თვის გადაწყვეტილებით, მ. ჯ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

-საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2013 წლის მარტის თვის ოქმს.

-საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2013 წლის მარტის თვის გადაწყვეტილებას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. ჯ. სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა. დადგენილია ასევე, რომ მოსარჩელე წარსულში ნასამართლეობის არმქონეა და მოხდილი აქვს სასჯელის სამ მეოთხედზე მეტი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- სასჯელაღსრულების დაწესებულების 2013 წლის თებერვლის თვის დახასიათებას;

- მ. ჯ.-ს პირად საქმეს;
- 2013 წლის თებერვალში სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ შედგენილ დახასიათებას.

მ. ჯ.-ს პირად საქმეში არსებული 2013 წლის აპრილში შედგენილი სასჯელაღსრულების დაწესებულების დახასიათების თანახმად, მ. ჯ. ხასიათდება დადებითად.

საქმეში არსებული მასალებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლზე, რომლის ბოლო წინადადება ადგენს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ეს დანაწესი, სასამართლოს მოსაზრებით, აუცილებლად გულისხმობს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების სავალდებულოობას, ვინაიდან მხოლოდ აღნიშნულით არის შესაძლებელი, გაირკვეს, მიღებულ იქნა თუ არა უშეცდომო გადაწყვეტილება.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებზეც, რომელთა მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდათ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემისას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

სასამართლოს ამავე გადაწყვეტილების მიხედვით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლი ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

სასამართლომ ამ შემთხვევაში მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას კანონმდებლობით დადგენილი ზემოაღნიშნული ვალდებულებები ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან იყო დარღვეული.

სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მონაცემები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე-34-ე მუხლებით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში ამ საქმეზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილების მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

ზემოაღნიშნული ნორმების დებულებებისა და სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს (საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო), მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხელშეწყობისა და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა კრიტერიუმის გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების ვალდებულება აქვს, რის გამოც სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2013 წლის მარტის თვის გადაწყვეტილება და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს დაევალა, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა კანონით დადგენილ ვადაში.

მოქალაქე კ. ბ.-ს საქმე

2013 წლის აგვისტოს თვის თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ კ. ბ.-ს სარჩელზე მიღებულ გადაწყვეტილებაშიც სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და ბათილად ცნო საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ და დაავალა საბჭოს, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული ყველა გარემოების გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი კ. ბ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ კ. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და 2010 წლის განაჩენით მას, საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 9 წლით, 11 თვითა და 15 დღით, საიდანაც 5 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 4 წელი, 11 თვე და 15 დღე ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 5 წელი, 11 თვე და 15 დღე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის თებერვლის თვის განჩინებით, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, კ. ბ. გათავისუფლდა 2008 წლის განაჩენით დადგენილი სასჯელისაგან. მასვე ერთი მეოთხედით შეუმცირდა 2010 წლის განაჩენით დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 9 თვის ვადით.

საქმის მასალებიდან სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ კ. ბ. სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოებაც, რომ მოსარჩელე წარსულში ნასამართლევ იყო და მოხდილი ჰქონდა სასჯელის ორ მესამედზე მეტი.

საქმეში არსებული მასალებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კ. ბ.-ს სარჩელი უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, საბჭომ 2013 წლის მარტში ზეპირი მოსმენის გარეშე იმსჯელა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის N151 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და

იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების მე-12 მუხლით დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით და ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მიერ ჩადენილია მძიმე კატეგორიის დანაშაული, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, დანაშაული ჩადენილია წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ, მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევა და დანაშაული ჩადენილია პირობითი მსჯავრის დროს გამოსაცდელი ვადის პერიოდში. მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს არ აქვს სათანადოდ შეფასებული დანაშაულის ხასიათი. კერძოდ, მოსარჩელე ბიძაშვილთან ერთად მივიდა დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩის ერთ-ერთ ეზოში, შევიდა იქ განთავსებულ საცავში, მოაბა წინასწარ მომზადებული თოკი კისერზე კავკასიური ჯიშის ნაგაზს და დაეუფლა მას. გარდა ამისა, სასამართლოს ამ გადაწყვეტილების მიხედვით, „მოპასუხის მიერ არ არის გათვალისწინებული მსჯავრდებულის პირად საქმეში არსებული სასჯელაღსრულების დაწესებულების 2013 წლის მარტის თვის დახასიათება, რომელშიც სოციალური მუშაკი, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებისა და უსაფრთხოების განყოფილების წარმომადგენლები უთითებენ, რომ, მართალია, სასჯელის მოხდის პერიოდში მოსარჩელე წახალისებული არ ყოფილა, მაგრამ მასთან საუბრებიდან გამომდინარე ჩანს, რომ დადებითად არის განწყობილი აღმზრდელობითი ხასიათის საუბრების მიმართ. პირად საუბრებში ბოლომდე ინანიებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს, გამოირჩევა თავაზიანობით თანამშრომლების მიმართ, მეგობრობს დადებითი ორიენტაციის მქონე მსჯავრდებულებთან, რის გამოც დაწესებულების ადმინისტრაციამ იგი დადებითად დაახასიათა.“ თბილისის საქალაქო სასამართლომ აქვე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სათანადოდ არ არის გამოკვლეული მსჯავრდებულის ოჯახური პირობები, კერძოდ, ის გარემოება, რომ მოსარჩელეს ჰყავს მეუღლე, 3 არასრულწლოვანი შვილი, რომელთაც მინიჭებული აქვთ დევნილის სტატუსი. გარდა ამისა, მეზობლებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულის მიერ იგი ასევე ხასიათდება დადებითად.

სასამართლომ ამ შემთხვევაშიც განმარტა ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები, რაც რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით. მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივი-

დუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2013 წლის მარტის თვის გადაწყვეტილება და დაავალა მოპასუხეს ზემოხსენებული ყველა გარემოების გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი კ. ბ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

ბ. გადაწყვეტილებები, რომლებითაც არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულთა სარჩელები პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებაზე

ი. ნ.-ს საქმე

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის ივლისის თვის გადაწყვეტილება მოსარჩელე ი. ნ.-ს საქმეზე. ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განაცხადა, რომ „საბჭოს შეფასება სრულად შეესაბამება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით⁶⁴ დადგენილ მოთხოვნებს, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, საბჭოს მიერ მსჯავრდებულის შეფასება ხდება მე-12 მუხლის⁶⁵ პირველი პუნქტით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე. ერთ-ერთ ასეთ კრიტერიუმს წარმოადგენს დანაშაულის ხასიათი, რომლის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, რა გარემოებაში და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული და ა. შ.; განსახილველ შემთხვევაში საბჭომ გადაწყვეტილების მიღებისას აქცენტი გააკეთა სწორედ ზემოაღნიშნულ კრიტერიუმზე, საბჭოს მიერ გათვალისწინებულ იქნა ის, რომ

⁶⁴ 2010 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის N151 ბრძანება „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“.

⁶⁵ იქვე, მე-12 მუხლი, 1-ლი პუნქტი.

მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი იყო ისეთი განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, როგორცაა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა და გასაღება და ჩადენილი დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით მსჯავრდებულის გათავისუფლება მიზანშეუწონლად მიიჩნია.“ მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ საბჭო ვალდებულია, შეაფასოს და გაითვალისწინოს საქმის ყველა გარემოება ერთობლიობაში და მისი გადაწყვეტილება არ უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ ერთი კრიტერიუმის შეფასებას. საბჭომ გადაწყვეტილებაში ცალსახად უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება, რა გარემოებებმა მიიყვანეს მსგავს დასკვნამდე, კერძო და საჯარო ინტერესთა ბალანსის საფუძველზე რომელ გარემოებას მიენიჭა უპირატესობა და რატომ.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ „სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გადაამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა ანუ მისი დისკრეციის განხორციელების მართლზომიერება, შესაბამისად, სასამართლო ვერ შეაფასებს საბჭოს წევრების მიერ გაკეთებული შეფასებების სისწორეს, სასამართლო უფლებამოსილია, მხოლოდ გადაამოწმოს, არის თუ არა შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებაში, ასევე, შეამოწმოს, თუ რამდენად დასაბუთებულია ამ უფლებამოსილების გამოყენება, რაც განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ დარღვეულა.“

მ. მ.-ს საქმე

2013 წლის ივნისის თვის თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მ. მ.-ს სარჩელზე მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მ. რ.-ს ძე მ. სასამართლებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2010 წლის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით [ყაჩაღობა] და სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. თბილისის სააკველაციო სასამართლოს 2010 წლის ივნისის თვის განაჩენით უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის მარტის თვის განაჩენი. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის განჩინებით კი 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მსჯავრდებულ მ. მ.-ს შეუმცირდა დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 5 წლითა და 6 თვით და მოსახდელი დარჩა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით, 1 თვითა და 15 დღით.

ამ სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2013 წლის მარტის თვის ოქმის თანახმად,

საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შუამდგომლობა მ. მ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე. საბჭომ განიხილა რა მ. მ.-ს ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში, მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ოჯახური პირობები, დანაშაულის ხასიათი, მსჯავრდებულის პიროვნება, მიიჩნია, რომ ჩადენილია მძიმე კატეგორიის ძალადობრივი ხასიათის დანაშაული, რომელიც მომეტებული საფრთხის შემცველია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის, მსჯავრდებულის მხრიდან წარსულში ადგილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენის ფაქტს, ასევე, სხვა გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მისაღებად და ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭომ კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსების გათვალისწინებით, გადაწყვიტა, რომ ამ ეტაპზე არ არის მიღწეული სასჯელის მიზანი და მ. მ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლება მიზანშეუწონელია.“

სასამართლომ განმარტა, რომ „მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს (მოცემულ შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს) დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება, ვინაიდან მან დებულების მე-12 მუხლით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, რომელიც საბჭოს წევრთა შინაგანი რწმენით იქნება ნაკარნახევი და სადავო საკითხის ობიექტურ თუ სუბიექტურ გარემოებათა კვალიფიციურ შეფასებაზე დაფუძნებული. ამგვარი უფლებამოსილება საბჭოს ანიჭებს თავისუფლებას, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.“

ამ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა საბჭოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილებით ან/და იმ მიზნის უგულებელყოფით, რა მიზნითაც საბჭოს მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. სასამართლომ აღნიშნა, რომ საბჭოს შეფასება სრულად შეესაბამება მითითებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილ მოთხოვნებს, ვინაიდან საბჭოს მიერ მსჯავრდებულის შეფასება მოხდა დებულების მე-12 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე. სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, „ერთ-ერთ ასეთ კრიტერიუმს წარმოადგენს დანაშაულის ხასიათი, რომლის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, რა გარემოებასა და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული და ა.შ.; ასევე, მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტებს, ნასამართლეობას, რომლის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს, რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულისათვის და რამდენჯერ იყო ნასამართლევი მსჯავრდებული. განსახილველ შემთხვევაში, საბჭომ გადაწყვეტილების მიღებისას აქცენტი გააკეთა სწორედ ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებზე და მსჯავრდებულის გათავისუფლება მიზანშეუწონლად მიიჩნია.“

ა.კ.-ს საქმე

2013 წლის აგვისტოს თვის ა. კ.-ს სარჩელზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ „სარჩელში ასახულ იმ მოსაზრებებთან დაკავშირებით, რომლებიც მსჯავრდებულის ქცევის, დანაშაულის ჩადენის ფაქტის, პიროვნების, ოჯახური პირობებისა და დანაშაულის ხასიათის შეფასების კრიტერიუმებს ეხება, აღნიშნული კრიტერიუმების განსაზღვრა წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, შესაბამისად, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს იმ გარემოებაზე, თუ როგორ ჩამოყალიბდა, ან როგორ უნდა ჩამოყალიბებულიყო საბჭოს წევრების შინაგანი რწმენა. თუმცა სასამართლო უფლებამოსილია, შეამოწმოს ის, თუ რამდენად კანონიერად განხორციელდა დისკრეციული უფლებამოსილება, ანუ ხომ არ მოხდა მისი გადაჭარბება, ნორმის მიზნის შეუსაბამო გამოყენება ან გამოუყენებლობა მაშინ, როდესაც ამას კანონი ადგენდა. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ დისკრეციული უფლებამოსილების კანონდარღვევით განხორციელებას ადგილი არ აქვს, ხოლო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს სადავო აქტის მიზანშეწონილობაზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას საბჭომ სრულად გაითვალისწინა მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, მსჯავრდებულის პიროვნება, ოჯახური მდგომარეობა, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, ასევე მიღწეულია თუ არა სასჯელის მიზანი და სხვა გარემოებები, რომლებსაც შეეძლო, გავლენა მოეხდინა საბჭოს გადაწყვეტილებაზე“.

ე. ა.-ს საქმე

2013 წლის ივნისის ე. ა.-ს სარჩელზე მიღებულ გადაწყვეტილებაშიც სასამართლომ განაცხადა, რომ „მსჯავრდებულის ქცევის, დანაშაულის ჩადენის ფაქტის, პიროვნების, ოჯახური პირობებისა და დანაშაულის ხასიათის კრიტერიუმების განსაზღვრა წარმოადგენს საბჭოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, შესაბამისად, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს იმ გარემოებაზე, თუ როგორ ჩამოყალიბდა, ან როგორ უნდა ჩამოყალიბებულიყო საბჭოს წევრების შინაგანი რწმენა, თუმცა სასამართლო უფლებამოსილია, შეამოწმოს ის, თუ რამდენად კანონიერად განხორციელდა დისკრეციული უფლებამოსილება, ანუ ხომ არ მოხდა მისი გადაჭარბება, ნორმის მიზნის შეუსაბამო გამოყენება ან გამოუყენებლობა მაშინ, როდესაც ამას კანონი ადგენდა“. თუმცა ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა: „განსახილველ შემთხვევაში საბჭოს გადაწყვეტილებაში სწორად არის მითითებული, რომ

მოსარჩელის მიერ ჩადენილი დანაშაული განეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. ე. ა.-მ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა და გასაღება. გადაწყვეტილებაში ასევე მართებულადაა აღნიშნული, რომ მოსარჩელე ნასამართლეობის არმქონე პირია, სასჯელის მოხდის პერიოდში იგი დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა. ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელეს ჰყავს დედ-მამა, ძმა და და.“